კანდიდატის სტატუსმეტრი

ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულების მდგომარეობა

2023 წლის 16 იანვრიდან 8 სექტემბრის ჩათვლით

დოკუმენტი გამოცემულია „ღია საზოგადოების ფონდის“
შიდა პროექტის „ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსმეტრი“ ფარგლებში. *

* დოკუმენტი მომზადდა ორგანიზაციების „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“, „სასამართლოს გუშაგი“,
„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი”,
„მმართველობის მონიტორინგის ცენტრი”, „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“,
„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, „საფარი“ მიერ.

მეთოდოლოგია

12 პრიორიტეტის შესრულების მონიტორინგის დოკუმენტი „სტატუსმეტრი“ მოიცავს 4 სექციას:

1) **ევროკავშირი მოითხოვს**: ევროკავშირის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები გადმოტანილია უცვლელად.
2) **მოლოდინები**: სხვადასხვა რელევანტური აქტორის მოლოდინების გაერთიანება. კერძოდ, ამ სექციაში გაერთიანებულია:
- ევროკავშირის მოლოდინები ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ მოსაზრებაზე, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის და წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების საჯარო განცხადებებზე დაყრდნობით;
- სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინები, მათ მიერ წარდგენილ გეგმაზე, განცხადებებსა და ანგარიშებზე დაყრდნობით;
- პოლიტიკური პარტიების მოლოდინები, მათ მიერ წარდგენილ გეგმებსა და განცხადებებზე დაყრდნობით.
3) **სად ვართ ახლა**: აღწერს საკითხის ირგვლივ არსებული მდგომარეობის და ეყრდნობა
- პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებს;
- სახელმწიფო უწყებების განცხადებებსა და ანგარიშებს;
- პოლიტიკური პარტიების შეფასებებს და განცხადებებს;
- პოლიტიკოსების შეფასებებს და განცხადებებს;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადებებს, ანგარიშებს და შეფასებებს;
- 12 პრიორიტეტის შესრულების შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას;
- ზემოთ ჩამოთვლილ აქტორებთან კომუნიკაციით მიღებულ ინფორმაციას.
4) **გამოწვევები**: თითოეული საკითხის ირგვლივ დარჩენილი გამოწვევების/პრობლემების ჩამონათვალია და ეყრდნობა:
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებებს, განცხადებებსა და ანგარიშებს;
- საერთაშორისო პარტნიორების განცხადებებს და შეფასებებს;
- პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების შეფასებებსა და განცხადებებს.

პრიორიტეტების შესრულება შეფასებულია 4 სხვადასხვა ვერდიქტით:

- **შესრულდა**: პრიორიტეტი სრულად შესრულებულია;
- **მეტწილად შესრულდა**: პრიორიტეტის დიდი ნაწილი შესრულებულია, თუმცა ცალკეული საკითხები კვლავ დარჩენილია;
- **ნაწილობრივ შესრულდა**: პრიორიტეტთან დაკავშირებული საკითხების ნაწილი შესრულდა, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ შესასრულებელია;
- **შესასრულებელია**: პრიორიტეტი კვლავ შესასრულებელია, ან პრიორიტეტის ირგვლივ არსებული სიტუაცია გაუარესდა, ან პრიორიტეტის შესასრულებლად საჭირო მრავალ საკითხს შორის, მხოლოდ მცირე და შედარებით უმნიშვნელო ნაწილია შესრულებული, რაც საერთო ფონს ვერ ცვლის.

სექციაში „სად ვართ ახლა“ თითოეული საკითხის აღწერისთვის გამოყენებულია გრაფიკული მონიშვნა, რომელთაც შემდეგი კონოტაცია გააჩნიათ:

- ✔ გამოყენებულია შესრულებულ საკითხებთან მიმართებით;
- ⌛ გამოყენებულია იმ საკითხებთან მიმართებით, რომელიც ნაწილობრივ შესრულდა, თუმცა პროცესი კვლავ გრძელდება და შესაძლებელია, სიტუაცია შეიცვალოს;
- ✕ გამოყენებულია შესასრულებელ ან სიტუაციის გამაუარესებელ საკითხებთან მიმართებაში.

სტატუსი


შესრულდა
მეტწილად შესრულდა
ნაწილობრივ შესრულდა
შესასრულებელია
N 2:
საარჩევნო და ინსტიტუციური რეფორმები
N3:
დამოუკიდებელი სასამართლო
N4:
ანტიკორუფციული ზომები
N 6:
ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა
N7:
მედია
N8:
მოწყვლადი ჯგუფები
N10:
სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა
N9:
გენდერული თანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა
N12:
დამოუკიდებელი სახალხო დამცველი
N11:
ECHR-ის გადაწყვეტილებების პროაქტიული გათვალისწინება
N1:
დეპოლარიზაცია
N5:
დეოლიგარქიზაცია
2
3
4
6
7
8
10
9
12
11
1
5

სტატუსი

▲ გაუმჯობესდა | ▼ გაუარესდა | ცარიელი — უცვლელია

დინამიკა 6 სტატუსმეტრის მიხედვით



პრიორიტეტი N1: დეპოლარიზაცია



ევროკავშირი მოითხოვს:

„19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით გადაიჭრას პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხი პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გზით.“

მოლოდინები:

» 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირის მოლოდინებია:

- პარლამენტის ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველყოფა
- მწვავე რიტორიკის დასრულება
- პოლიტიკური შეთანხმებების, მათ შორის ევროკავშირის მედიაციით მიღწეული 19 აპრილის შეთანხმების პატივისცემა

» 19 აპრილის (ე.წ. შარლ მიშელის) შეთანხმება მოიცავს, მათ შორის, შემდეგ საკითხებს:

- 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერის 2%-მდე შემცირება
- პარლამენტში ძალაუფლების განაწილება, რაც ოპოზიციის მიერ რამდენიმე საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეობას გულისხმობს
- ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევა პარლამენტის სრული შემადგენლობის ⅔-ით;
- საარჩევნო კანონმდებლობის და სასამართლოს რეფორმა და ა.შ.

» შეთანხმება საპარლამენტო დანიშვნებზე, რომლებზეც მაღალი კვორუმი უნდა ყოფილიყო (სახალხო დამცველი, ცესკო-ს თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები);

» „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციის მხრიდან მტრული რიტორიკის შეჩერება;

» სამოქალაქო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ მტრული რიტორიკის დასრულება;

» კრიტიკული მედიისა და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების დასრულება;

» მმართველი პარტიის მიერ კრიტიკული მედიის არხების ბოიკოტის დასრულება და სატელევიზიო დებატებში მონაწილეობის მიღება;

» „მთავარი არხის“ დირექტორის, ნიკა გვარამიას, გათავისუფლება;

» ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ საავადმყოფოში სამკურნალოდ გადაყვანა;

» საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის საქმიანობისთვის ხელისშემშლელი კანონმდებლობის ნებისმიერი სახით ინიციირებისა და მასზე განხილვების დაწყებისგან თავის შეკავება ან/და არმიღება.

სად ვართ ახლა:

❌ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ პირველი მოსმენით მიღებულმა კანონპროექტმა პოლიტიკური პოლარიზაცია კიდევ უფრო გააღრმავა ხელისუფლებასა და ოპოზიციას, ხელისუფლებასა და მედიას, ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის;

❌ „ქართული ოცნების“ აზრით, პირველი პრიორიტეტის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციას ეკისრება და არა მთავრობას;

❌ „ქართული ოცნების“ ლიდერები პოლარიზაციას არამხოლოდ ოპოზიციას, არამედ საერთაშორისო აქტორებს - დასავლეთს, ევროკავშირს და რიგ ევროპელ პოლიტიკოსებსაც აბრალებენ. მათ შორის, ამაში მოიაზრება „პოლარიზაციის დაფინანსება“, რაშიც „ქართული ოცნება“ ევროპული ფონდების მიერ საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსებას გულისხმობს, და „რადიკალურ ოპოზიციასთან“ შეხვედრების გამართვა;

❌ ევროკავშირის შუალედური შეფასების შემდეგ, ირაკლი კობახიძის განცხადებით, 19 აპრილის შეთანხმების ძირითადი ელემენტი იყო, უმრავლესობის მხრიდან ოპოზიციის საპარლამენტო მუშაობაში სათანადო ჩართულობის უზრუნველყოფა და ოპოზიციის მიერ საპარლამენტო მუშაობაში ჩართულობა. “ქართული ოცნების” თანახმად, მათ პირობის თავისი ნაწილი შეასრულეს. უშუალოდ შეთანხმებასთან დაკავშირებით, “ქართული ოცნების” პოზიციაა, რომ შეთანხმება “ანულირებულია, დამთავრებულია, წარსულია” და პარტია 19 აპრილის შეთანხმებაში დაბრუნებაზე უარს აცხადებს. პარტიის პოზიციით, შეთანხმება “საბოტაჟის და შანტაჟის” “ქვეშ იქნა ხელმოწერილი” და ის იყო „ანომალია“ და „უხეში და ღია მცდელობა, რომ ხალხის ნების წინააღმდეგ შეცვლილიყო ხელისუფლება“. ხოლო შეთანხმება არა დეპოლარიზაციისთვის, არამედ ხელისუფლების შეცვლის მიზნით დაიწერა, რაშიც გარე ძალები, მათ შორის “გლობალური ომის პარტია” იყო ჩართული. მისი შეფასებით, შეთანხმების შესრულების შემთხვევაში „თბილისში რუსული ტანკები იდგებოდა“;

❌ „ქართულმა ოცნებამ“ ანტიდასავლური რიტორიკა გაამლიერა; ამასთან, ის დასავლეთს, ოპოზიციას, სამოქალაქო საზოგადოებასა და კრიტიკულ მედიას პოლარიზაციის გაღრმავებასა და საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩათრევის სურვილში ადანაშაულებს;

❌ „ქართული ოცნება“ კრიტიკოსებს „გლობალური ომის პარტიად“ ან/და მათ აგენტებად, მტრებად და მოღალატეებად მოიხსენიებს;

❌ ოპოზიცია „ქართულ ოცნებას“ ხშირად „რუსეთის მონებს“ და „მოღალატეებს“ უწოდებს;

❌ პარლამენტში პოლიტიკურ პარტიებს შორის რიტორიკამ უკიდურესად მწვავე ხასიათი მიიღო. საპარლამენტო განხილვების დროს გაიზარდა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირებების შემთხვევები. „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციურ პარტიებს შორის რიტორიკის გამწვავება სპირალურ ხასიათს იძენს;

❌ პარლამენტში რამდენიმე მწვავე დაპირისპირების შემდეგ „ქართული ოცნებამ“ ერთგვარ პოლიტიკად ჩამოაყალიბა, რომ მათთვის (პრო)რუსის და მოღალატის წოდებისთვის “დედის გინება” “ერთადერთი ადეკვატური პასუხია” და ვინც პრორუსს დაუძახებს, „მიიღებს ცხვირ-პირში ჯერ მორალურად და თუ არ მოისვენებს, შეიძლება ცოტა მეტიც მიიღოს“;

❌ გახშირდა ფიზიკური თავდასხმები პოლიტიკოსების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ირაკლი კობახიძემ საქართველოში ძალადობის წახალისებაში, ასევე ბილწსიტყვაობისა და პოლარიზაციის მხარდაჭერაში ერთ-ერთი ელჩიც დაადანაშაულა;

❌ მიხეილ სააკაშვილის სასჯელის დროებით გადავადება, მისი უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანის მიზნით სასამართლომ არ დააკმაყოფილა;

⏳ 12 მაისს, სააკაშვილის პოლონეთში სამკურნალოდ გადასაყვანად დროებითი ღონისძიების (interim measure) გამოყენებაზე უარი განაცხადა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც;

⏳ მიხეილ სააკაშვილის მოსანახულებლად, კლინიკა „ვივამედში“ პოლონელი ექიმები შევიდნენ; სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციისა და ვიდეოს თანახმად, ერთ-ერთმა პოლონელმა ექიმმა სააკაშვილისგან აღებული ნიმუში ქაღალდში გადაახვია და ფეხსაცმლის მეშვეობით მის მალულად გატანას ცდილობდა. უწყების განმარტებით, ოფიციალური წესით აღებული ნიმუშის გატანის უფლება მათ მისცა სამსახურმა, შესაბამისად, აღნიშნული ქმედება „ექიმის მხრიდან სამედიცინო ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებთან შეუსაბამო საქციელს კიდევ უფრო მეტად მატებს ბუნდოვანებას“. ირაკლი კობახიძის განცხადებით, აღნიშნულის მიზეზი, შესაძლოა, გაყალბება და მანიპულაცია ყოფილიყო;

⏳ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ წარმოებული საქმეები პასიურ ფაზაში გადავიდა;

✅ პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალა;

❌ თუმცა გადაწყვეტილებას “ქართული ოცნება” უკიდურესად კრიტიკულად გამოეხმაურა. პარტიის აზრით, ეს არათუ დეპოლარიზაციისთვის გადადგმული ნაბიჯი, არამედ გარე ძალების ზეწოლით და დავალებით პოლარიზაციის გაღვივებისკენ მიმართული ნაბიჯი იყო;

❌ პარლამენტში ძალაუფლების განაწილება (“შარლ მიშელის შეთანხმების” შესაბამისად) არ მომხდარა;

მეტიც, “ქართული ოცნების” პოზიციით, თანამედროვე დემოკრატია ეფუძნება არა კონსენსუსის კულტურას, არამედ უმრავლესობის მმართველობას;

❌ საარჩევნო ბარიერი 2%-მდე (“შარლ მიშელის შეთანხმების” შესაბამისად) არ შემცირებულა. ამ მხრივ, “ქართული ოცნება” აცხადებს, რომ მათი დაპირება, სტატუსის მიღების შემთხვევაში ბარიერი დაეწიათ, მხოლოდ 2022 წელს ეხებოდა და 2023 წელზე აღარ ვრცელდება;

✕ 12 პრიორიტეტის შესრულებისთვის საჭირო კანონმდებლობის შემუშავებისთვის პარლამენტში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში არ მონაწილეობდა ყველა ოპოზიციური პარტია;

✕ "ქართული ოცნების" განცხადებით, პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის გაღვივებას ევროკავშირი უწყობს ხელს, ხოლო "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ კანონის მიღება დეპოლარიზაციის მიზანს ისახავდა. ასევე, "ქართულმა ოცნებამ" უარყო დეპოლარიზაციაში შარლ მიშელის შეთანხმების როლი;

✕ რაც შეეხება საპარლამენტო ზედამხედველობას, საპარლამენტო უმრავლესობამ საპარლამენტო ოპოზიციის მიერ სასამართლო სისტემაში კორუფციულ და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის ხელის შეშლის მიზნით, კენჭისყრის წინ სავალდებულო რეგისტრაცია ზედიზედ სამჯერ არ გაიარა, შემდეგ კი ბიუროს დღის წესრიგიდან ამოიღო. "ქართულმა ოცნებამ" იგივე გაიმეორა ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნის მცდელობის დროს;

✕ „ქართული ოცნება" ოპოზიციური ძალების დამოუკიდებელ იდენტობას არ აღიარებს და მათ „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას" უწოდებს, რომელიც უნდა „განეიტრალდეს";

✕ "საარჩევნო კოდექსში" განხორციელებული ცვლილებებით, რომელიც პარლამენტმა სამი მოსმენით 13 ივნისს მიიღო, "ქართულ ოცნებას" ცესკო-ს თავმჯდომარისა და ცესკო-ს შვიდი წევრის შესარჩევად, საპარლამენტო ოპოზიციასთან თანამშრომლობა აღარ მოუწევს, რადგან ცესკო-ს თავმჯდომარისა და შვიდი წევრის ასარჩევად, 100-ის ნაცვლად, 76 ხმა საკმარისი იქნება. ეს ცვლილებები 19 აპრილის ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმებას ეწინააღმდეგება და მისგან კიდევ ერთ გადახვევას წარმოადგენს;

"ქართულმა ოცნებამ" დააანონსა განახლებული კანონპროექტის მიღება, რომელიც ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევისთვის 90 ხმის საჭიროებას ითვალისწინებს, თუმცა თუ 90 ხმა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, არჩევა კვლავ 76 ხმით მოხდება 5 წლის ვადით. შესაბამისად, აღნიშნული კანონპროექტი საპარლამენტო ოპოზიციამ უარყოფითად შეაფასა, რადგან არსებულ პრაქტიკას არ აუმჯობესებს.

✕ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ცესკო-სთან დაკავშირებულ ცვლილებებს ვეტო დაადო, თუმცა ის პარლამენტმა დაძლია. პარლამენტმა დაძლია ეროვნული ბანკის მმართველობის საკითხთან დაკავშირებით კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტოც. ბოლო დროს, "ქართულ ოცნებასა" და პრეზიდენტს შორის პოლარიზაცია მკვეთრად გაიზარდა, რაც გამოიხატება კანონპროექტებთან დაკავშირებით ვეტოების დაძლევაში, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეკვეცაში, მწვავე რიტორიკაში და ა.შ. მმართველის პარტიის მხრიდან პრეზიდენტისადმი განსაკუთრებული კრიტიკა მოჰყვა ნიკა გვარამიას შეწყალებას.

საქართველოს მთავრობამ პრეზიდენტს უარი უთხრა საერთაშორისო ვიზიტების განხორციელებაზე, რომელთა ნაწილიც საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭების ადვოკატირებას ისახავდა მიზნად. პრეზიდენტი საერთაშორისო ვიზიტებში მაინც გაემგზავრა, რაც მმართველმა პარტიამ კონსტიტუციის დარღვევად შეაფასა. "ქართული ოცნების" განცხადებით, ისინი აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ და იმპიჩმენტის პროცედურას დაიწყებენ, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის საჭირო 100 ხმა მათ არ აქვთ.

გამოწვევები:

! არ გატარებულა რეფორმები საარჩევნო ბარიერთან და ძალაუფლების განაწილებასთან დაკავშირებით;

! ისევ პრობლემად რჩება სააკაშვილის საქმე;

! პოლიტიკური პროცესები 2024 წლის არჩევნების წინ მეტად პოლარიზებული ხდება;

! იზრდება პოლარიზაციის გამომწვევი რიტორიკა;

! პოლარიზაციის გაღრმავებას ხელს უწყობს სააკაშვილის არათანმიმდევრული განცხადებები, მისი ჯერ მხოლოდ უკრაინის პოლიტიკაში მონაწილეობის და ახლახან საქართველოს პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის შესახებ;

! საპარლამენტო დანიშვნებზე, სადაც მაღალი კვორუმია საჭირო, შეთანხმების პოლიტიკური ნება არ არსებობს. ცალკეულ შემთხვევებში კი, "ქართული ოცნება" ცალმხრივად, საპარლამენტო ოპოზიციასთან თანამშრომლობის გარეშე იღებს კანონმდებლობას, რომელიც მაღალ კვორუმს ხელისუფლების სასარგებლოდ უბრალო უმრავლესობამდე სწევს და შესაბამისად, იგნორირებას უკეთებს საპარლამენტო დანიშვნებში ოპოზიციისა და პრეზიდენტის მონაწილეობას;

! „ქართული ოცნების" მიერ სასამართლოსთან დაკავშირებული საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის ხელის შეშლამ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის პოლარიზაცია უფრო გააღრმავა;

! საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის საქმიანობისთვის ხელის შემშლელი კანონების მიღება პოლარიზაციას უფრო გააღრმავებს;

! 19 აპრილის " შარლ მიშელის შეთანხმების" სულისკვეთება არ არის გათვალისწინებული და "ქართული ოცნება" შეთანხმებას ეწინააღმდეგება.

! "ქართული ოცნების" მიერ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებამ პრეზიდენტსა და მმართველ პარტიას შორის პოლარიზაცია კიდევ უფრო გააღრმავა.

პრიორიტეტი N 2: საარჩევნო და ინსტიტუციური რეფორმები



ნაწილობრივ შესრულდა

ევროკავშირი მოითხოვს:

“უზრუნველყოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილი მუშაობა, გააძლიეროს მათი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულება, ასევე მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციები; კიდევ უფრო გააუმჯობესოს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო, აღმოფხვრას ყველა ხარვეზი, რომელიც ამ პროცესების დროს ეუთო/ოდირმა და ევროპის საბჭომ/ვენეციის კომისიამ გამოავლინა”.

მოლოდინები:

საარჩევნო გარემოს და საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება

» 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირის მოლოდინებია:

- საარჩევნო დარღვევების ბრალდებების ადეკვატური გამოძიება ოდირ-ის ანგარიშების შესაბამისად;
- საარჩევნო ცვლილებების უკან წაღება, რომელიც ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის პროცედურას ცვლის.

» საარჩევნო ბარიერის 2%-მდე შემცირება საკონსტიტუციო ცვლილებების გზით;
» 2021 წლის 19 აპრილის შარლ მიშელის შეთანხმების მიხედვით, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა;
• ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების 2/3-ით არჩევა;
• საარჩევნო კოდექსში იმგვარი ცვლილებების განხორციელება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ე.წ. „კარუსელებს“, დათვლის დროს გაყალბებას, ამომრჩეველთა მოსყიდვასა და წინასაარჩევნოდ პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლას;
» ეუთო/ოდირისა და ევროპის საბჭო/ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესრულება.

სახელმწიფო ინსტიტუტებზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერება

» 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირის მოლოდინებია:

- საპარლამენტო ზედამხედველობის გაუმჯობესება;

» სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა;
» პარლამენტის მიერ სახელმწიფო ინსტიტუტებზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერება, მათ შორის, პარლამენტის რეგლამენტის შეცვლის გზით;

სად ვართ ახლა:

საარჩევნო გარემოს და საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება

✗ 2022 წელს „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო ბარიერის 2%-მდე შემცირების პირობად კანდიდატის სტატუსის მიღება დაასახელა; თუმცა შემდგომ განაცხადა, რომ აღნიშნული დაპირება 2023 წელს სტატუსის მიღებაზე აღარ ვრცელდება;

✓ მმართველმა პარტიამ მიიღო ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, მათ შორის, ბიულეტენების ელექტრონული მთვლელი აპარატის მიერ დათვლის შესახებ, რაც უბნების 90%-ში დამონტაჟდება და საარჩევნო უბნის შიგნით არსებულ რისკებს დააზღვევს, მათ შორის გადაჭრის ე.წ. „კარუსელების“ პრობლემას. უბნებზე, სადაც ელექტრონული ტექნოლოგიები არ იქნება გამოყენებული, ბიულეტენები გაციფრულდება და უბნის შედეგები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაითვლება;

✓ 2023 წლის 29 აპრილს ჩატარებულ შუალედურ არჩევნებზე პირველად იქნა გამოყენებული ელექტრონული ტექნოლოგიები;

✓ ISFED-ის შეფასებით, 29 აპრილის შუალედური არჩევნები ძირითადად არაკონკურენტულ გარემოში ჩატარდა; არჩევნების დღემ მშვიდ გარემოში, მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე ჩაიარა; ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა გაამარტივა და დააჩქარა ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და ხმის დათვლის პროცესი;

✓ პარლამენტმა გაითვალისწინა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების ნაწილი. ცვლილებები შეეხო პარტიების დაფინანსებას, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, საარჩევნო ადმინისტრაციას, საჩივრებს, გადათვლის წესს, მარკირებასა და არჩევნების დაკვირვებას.

⌛ კობახიძის განცხადებით, მათ დასჭირდებათ დაზუსტება, თუ რა იგულისხმება ოდირ-ის ანგარიშების შესაბამისად საარჩევნო დარღვევების ბრალდებების ადეკვატურ გამოძიებაში. მისი თქმით, “საგამოძიებო კომისია შეიქმნა საგანგებოდ პარლამენტში იმისათვის, რომ გამოძიებულიყო, მაგალითად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს დაფიქსირებული დარღვევები. სავარაუდოდ, იგულისხმება სამომავლო დარღვევები, რაც სამომავლო არჩევნებს შეიძლება უკავშირდებოდეს, ამაზე გვექნება კონსულტაციები, ბუნებრივია, ევროკომისიასთან”;

✗ ევროკავშირის მოწოდების საწინააღმდეგოდ, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ სამი მოსმენით მიიღო ცვლილებები “საქართველოს საარჩევნო კოდექსში”, რომლის მიხედვითაც, ცესკო-ს თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატების შერჩევისა და პარლამენტისთვის წარდგენის პრერეგატივა პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარეს ექნება, ხოლო ცესკო-ს თავმჯდომარის 5 წლის ვადით დამტკიცებას, 100 ხმის ნაცვლად (რასაც საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებდა), პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (76 ხმა) დასჭირდება. კანონპროექტით, პრეზიდენტის როლი საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლის ყოლით შემოიფარგლა. პრეზიდენტმა ვეტო დაადო კანონის პროექტს;

“ქართული ოცნების” საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის ვეტო დაძლია. ირაკლი კობახიძის განმარტებით, “პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო”, რომ ცესკო-ში “ინსტიტუციური კრიზისი არ დაეშვათ”; მისი განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკომისიასთან დამატებითი კონსულტაციები ექნებათ.

⌛ “ქართულმა ოცნებამ” 2023 წლის სექტემბერში დააანონსა ცვლილებები “საქართველოს საარჩევნო კოდექსში”, რომლის მიხედვითაც, ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევას პარლამენტის წევრთა 90 ხმა დასჭირდება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ 90 ხმა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, კანდიდატების ასარჩევად საკმარისი იქნება პარლამენტის წევრთა 76 ხმა. თუ ვერც 76 ხმა მოგროვდება, საკითხი გადაწყვეტილების მისაღებად პრეზიდენტს გადაეცემა. პრეზიდენტი კონკურსში მონაწილე კანდიდატების სიიდან დანიშნავს ცესკო-ს თავმჯდომარეს/პროფესიულ წევრებს. ცვლილებები ითვალისწინებს ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების 5 წლის ვადით არჩევას (შესაძლებელი იქნება ერთი კანდიდატის ორი ვადით არჩევა). “ქართული ოცნების” განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილებებს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს და სექტემბრის ბოლომდე მიიღებს.

✗ პარლამენტმა ცესკო-ს თავმჯდომარე მაღალი კვორუმით ვერ აირჩია.

✗ “ქართული ოცნების” საპარლამენტო უმრავლესობის მიერ პირველი მოსმენით მიღებული ცვლილებებით, პარტიას აღარ ექნება უფლება, საარჩევნო ბიულეტენზე მიუთითოს პოლიტიკური პარტიის ლიდერების სახელები და გვარები.

სახელმწიფო ინსტიტუტებზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერება

✓ საქართველოს მთავრობამ 2023 წლის თებერვალში 2023-26 წლების საჯარო ადმინისტრაციის რეფორმირების სტრატეგია და 2023-24 წლების სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომელიც მოიცავს დეცენტრალიზაციის, საჯარო სამსახურის განვითარების, საჯარო ფინანსების მენეჯმენტის, ციფრული მმართველობისა და ეროვნულ ანტიკორუფციულ ღონისძიებებს.

✓ „ქართული ოცნების“ ინიციატივით, პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებები შევიდა:

- ინტერპელაციების რაოდენობა 4-იდან 8-მდე გაიზარდა;
- მინისტრი ვალდებული იქნება, პარლამენტს წერილობითი ანგარიში მინისტრის საათამდე 5 დღით ადრე წარუდგინოს;
- მთავრობა პარლამენტში დეპუტატების მოთხოვნით უფრო ოპერატიულად წარდგება;

- დეპუტატის შეკითხვაზე პასუხის გაცემის ვადა 15-იდან 10 დღემდე შემცირდა;
- კომიტეტის თემატური მოკვლევები შეიძლება დაიწყოს კომიტეტზე დამსწრე დეპუტატების უმრავლესობით, ყველა დეპუტატის ნაცვლად.
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშს პარლამენტს მხოლოდ სამსახურის უფროსი წარუდგენს და არა მისი მოადგილე.

✅ მმართველმა პარტიამ რეგლამენტში ცვლილებების განხორციელებისას საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციების ნაწილი გაითვალისწინა;

❌ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა არ განიხილა ის შეთავაზებები, რომლებიც უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას ეხებოდა;

✅ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა, 12 პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, პარლამენტის წევრის კითხვაზე რეაგირების შესახებ მონიტორინგი დაიწყო;

⏳ ქართული ოცნების თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, *"კანონმდებლობა უკვე შეფასდა დადებითად, ახლა საუბარია უკვე მის აღსრულებაზე და პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. ახლა რა თქმა უნდა, ყველაფერი არის პირველ რიგში ოპოზიციის ხელში."*

❌ "ქართულმა ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობამ საპარლამენტო ოპოზიციის მიერ სასამართლო სისტემაში კორუფციულ და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის ხელის შეშლის მიზნით, კენჭისყრის წინ სავალდებულო რეგისტრაცია ზედიზედ სამჯერ არ გაიარა, შემდეგ კი ბიუროს დღის წესრიგიდან ამოიღო;

❌ "ქართული ოცნება" ანალოგიურად მოიქცა საპარლამენტო ოპოზიციის მიერ ინიციირებული დადგენილების „ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ თაღლითური „ქოლ-ცენტრების" მეშვეობით ჩადენილი ტრანსნაციონალური დანაშაულებისა და მათზე შესაძლო არასათანადო რეაგირების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ" პროექტის ჩასაგდებად, არ გაიარა რა კენჭისყრის წინ სავალდებულო რეგისტრაცია;

❌ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი დეპუტატების შეკითხვებს სახელმწიფო ინსტიტუტები, ხშირად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი ვადის დარღვევით, ან საერთოდ არ პასუხობენ; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ანგარიშის თანახმად, 2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით, სულ გაიგზავნა პარლამენტის წევრის 514 კითხვა, რომელთაგან 105 წერილობით კითხვაზე არ არის გაცემული პასუხი, რაც კითხვების საერთო რაოდენობის 20%-ს წარმოადგენს;

❌ თანამდებობის პირები კომიტეტის სხდომაზე რეგლამენტით დადგენილი წესით დასწრების მოთხოვნის მიუხედავად, არ ცხადდებიან;

❌ საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილის განცხადებით, მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების დაკომპლექტების საკითხი კითხვებს ბადებს; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა არ უპასუხა პარლამენტის წევრის კითხვას, რა პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება მუდმივმოქმედ საპარლამენტო დელეგაციებში პოლიტიკური ჯგუფებისა და საპარლამენტო ფრაქციებისთვის კვოტების მინიჭება;

❌ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში 12 პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში განხორციელებული ცვლილების მიუხედავად, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის უფლებამოსილება მხოლოდ სამსახურის უფროსს მიენიჭა, 2023 წლის 7 ივლისს, პარლამენტის წევრებს ანგარიში სუს-ის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

გამოწვევები:

საარჩევნო გარემოს და საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება

! ISFED-ის შეფასებით, 29 აპრილის უკონკურენტო არჩევნების პირობებშიც კი, მმართველ პარტიას უარი არ უთქვამს ამომრჩევლის მობილიზებისა და აღრიცხვის პრაქტიკაზე. ხშირ შემთხვევაში ეს, საარჩევნო უბნის მიმდებარედ, 100 მეტრის მანძილზე ხდებოდა, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია;

! 29 აპრილს, რამდენიმე საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ვერიფიკაციისა და ხმის მიცემის და დათვლის ელექტრონული აპარატების მუშაობის ხარვეზები, რამაც, რიგ შემთხვევებში, კენჭისყრის პროცესი შეაფერხა;

! 5%-იანი საარჩევნო ბარიერი უცვლელად რჩება, ბლოკები არაა დაშვებული, რაც ოპოზიციურ პარტიებს 2024 წლის არჩევნებისათვის არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს;

! ეუთო/ოდირის და ვენეციის კომისიის ერთობლივი შეფასების მიხედვით, საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები არ შეხებია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა:

- საარჩევნო ოლქების დელიმიტაცია;
- ოფიციალური თანამდებობის ბოროტად გამოყენება საარჩევნო კამპანიების მიზნებისათვის;
- მაღალი ზღვარი საარჩევნო შემოწირულობებისათვის, რაც გავლენას ახდენს თანასწორი საარჩევნო გარემოს არსებობაზე;
- საარჩევნო კამპანიების დაფინანსების შემდგომი რეგულირება;
- მედია კამპანიების რეგულირების შემდგომი დახვეწა;
- ხმების გადათვლა და გაუქმება;
- ამომრჩეველთა დაშინების პრევენციისათვის მიმართული ზომები.

! ISFED-ის, საია-სა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშის თანახმად, რომელიც ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მოსაზრებებს ეყრდნობა, საარჩევნო კანონმდებლობაში კვლავ არის დარჩენილი განსახორციელებელი ცვლილებები, მათ შორის, ცესკო-ს დაკომპლექტების წესი, საჩივრებისა და სარჩელების წარდგენისა და განხილვის ვადების გაზრდა, საარჩევნო პროცესში სხვადასხვა რეგულაციის დახვეწა, საარჩევნო უბნის გადათვლის კრიტერიუმების დახვეწა და ა.შ.
! საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მიღებული ცვლილებებით, ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების ასარჩევად პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (არანაკლებ 76 ხმა) იქნება საკმარისი.
! 2023 წლის სექტემბერში დაანონსებული კანონპროექტით, საჭირო ხმების რაოდენობა 90-მდე იზრდება, თუმცა თუკი 90 ხმის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდება, ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების 5 წლის ვადით ასარჩევად კვლავ 76 ხმა იქნება საკმარისი. შესაბამისად, დაანონსებული კანონპროექტი არსებულ მდგომარეობას არსებითად არ აუმჯობესებს, რადგან საპარლამენტო უმრავლესობას მაინც შეეძლება ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების საპარლამენტო ოპოზიციის ჩართულობის გარეშე 76 ხმით არჩევა.

სახელმწიფო ინსტიტუტებზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერება

! სამოქალაქო საზოგადოების აზრით, პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულება კვლავ დაბალია;
! ოპოზიციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრით, პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიან ანგარიშვალდებულებას;
! საპარლამენტო ოპოზიციისთვის საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმები შეზღუდულია და, ცალკეულ შემთხვევაში, დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავლესობის თანხმობაზე;
! საპარლამენტო უმრავლესობა საპარლამენტო ოპოზიციას არ აძლევს საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების (მაგალითად, საგამოძიებო კომისიის შექმნა) გამოყენების შესაძლებლობას;
! თანამდებობის პირები სავალდებულო წესით დასწრების მოთხოვნის მიუხედავად, კომიტეტის სხდომაზე არ ცხადდებიან;
! არ შეცვლილა კითხვა-პასუხის რეჟიმის პროცედურა ინტერპელაციის დროს;
! პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყებების ნაწილი დაგვიანებით ან საერთოდ არ პასუხობს პარლამენტის წევრის წერილობით შეკითხვებს;
! 12 პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში მიღებული ცვლილებების ნაწილი, რომელიც საპარლამენტო ზედამხედველობის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა, პრაქტიკაში არ სრულდება.

პრიორიტეტი N3: დამოუკიდებელი სასამართლო

ევროკავშირი მოითხოვს:

“მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021 წლის შემდგომი პერიოდისათვის, რომელიც დაეფუძნება ფართო, ინკლუზიურ და პარტიათა შორის წარმართულ საკონსულტაციო პროცესს; უზრუნველყოს, რომ მართლმსაჯულების მთელი ჯაჭვი იყოს სრულებით, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი, ასევე დაიცვას შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება; სახელდობრ, უზრუნველყოს ყველა სასამართლო და საგამოძიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირება და კეთილსინდისიერება, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოსი, და გადაჭრას ყველა პრობლემა, რომელიც გამოვლინდა მოსამართლეთა ნომინირების ყველა დონეზე, ასევე გენერალური პროკურორის შემთხვევაში; გაატაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრები. ყველა ეს ზომა უნდა გატარდეს ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით.”

მოლოდინები:

» 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირის მოლოდინებია:

- სასამართლო რეფორმის საკანონმდებლო ცვლილებების ვენეციის კომისიისთვის წარდგენა მეორე მოსაზრებისთვის;
- უფრო ფართო სასამართლო რეფორმის გატარება, განსაკუთრებით იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებით;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დარჩენილი არამოსამართლე წევრების არჩევა.

» ვენეციის კომისიის მეორე შეფასების საფუძველზე პარლამენტის მიერ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;
» მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება;
» სასამართლოს ინსტიტუციური და მოსამართლეების ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გაზრდა ე.წ. კლანის მეშვეობით განხორციელებული პოლიტიკური გავლენის შესამცირებლად;
» იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმა, რაც გულისხმობს კორპორატივიზმის შემცირებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო უფლებამოსილებების შეზღუდვასა და პლურალიზმის გაძლიერებას გადაწყვეტილებების მიღებისას;
» უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კრიტერიუმებსა და ნომინირების პროცესში ცვლილებების განხორციელება, ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმის დანერგვა;
» სასამართლოს რეფორმირებისთვის ფართო, ინკლუზიური და პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსენსუსზე დაფუძნებული პროცესის წარმართვა;
» გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცედურის ცვლილება.

სად ვართ ახლა:

✕ 2023 წლის 27 ივლისს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 11 ხმით აირჩია შოთა ქადაგიძე, რომელსაც ყველა დამსწრე წევრმა მისცა ხმა. მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის მიერ (მათ შორის, ოპოზიციის რამდენიმე დეპუტატის) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეულმა სამმა არამოსამართლე წევრმაც. შოთა ქადაგიძე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არამოსამართლე წევრი იყო 2017-2021 წლებში, რომელიც გამოირჩეოდა სასამართლოს გავლენიანი ჯგუფის მიმართ ლოიალურობით. შესაბამისად, შოთა ქადაგიძის არჩევა დამოუკიდებელი ინ-

სპექტორის თანამდებობაზე ვერ უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას, რადგან მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან მისი კავშირი მიუთითებს მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ნაკლებობაზე;

❌ ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის მიერ ვენეციის კომისიაში წარდგენილია საკანონმდებლო ცვლილებები სასამართლო სისტემის შესახებ მეორე მოსაზრებისთვის;

❌ სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე, ეუთო/ODIHR-ის მიერ, 2023 წლის 16 ივნისს გამოქვეყნდა მოსაზრება სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით. ეუთო/ODIHR-ის რეკომენდაციები შეეხება: იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღების წესს; არამოსამართლე წევრების ეფექტიან მონაწილეობას საბჭოს საქმიანობაში და მის არჩევას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ; მოსამართლე წევრების არჩევის წესის ცვლილებას; იუსტიციის საბჭოში ფართო რეპრეზენტაციის, გენდერული ბალანსისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფას. გარდა ამისა, მოსაზრების თანახმად, საჭიროა, ცვლილებები საქმეთა ელექტრონული სისტემით განაწილების კუთხით. რეკომენდაციები აგრეთვე შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეებისა და იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრთა სამოსამართლო პრაქტიკის შენარჩუნების მნიშვნელობას; სასამართლოს თავმჯდომარის სტატუსს, პრივილეგიებსა და მათი არჩევის წესს; მოსამართლეთა და მათი ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების გადამოწმების სისტემას; მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ინიციირების საკითხზე პასუხისმგებელი ორგანოს დამოუკიდებლობის გარანტიების უზრუნველყოფას;

❌ პრიორიტეტების წარმოდგენიდან ერთი წლის შემდეგ, იკვეთება, რომ საქართველოს ხელისუფლებას პირობების ეფექტიანად შესრულების მიზნით, ჯერ კიდევ არ გამოუყენებია ბრიუსელთან კონსულტაციების შესაძლებლობა. „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ მათ სჭირდებათ კონსულტაციები ევროკომისიასთან იმ საკითხების დაკონკრეტების მიზნით, რომლებიც სასამართლო სისტემას შეეხება;

❌ ვენეციის კომისიის შეფასებით, "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის ცვლილებები არ ითვალისწინებს სასამართლო სისტემის, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვან რეფორმას;

✅ ვენეციის კომისიის მოსაზრებების ზოგის სრულად, ხოლო ზოგის ნაწილობრივ გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში, რაც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მეორე ტურში გადასული მოსამართლეობის კანდიდატებისთვის ვაკანტური თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნების დადგენა; პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეების საქმის განხილვიდან ჩამოცილება მხოლოდ მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაში; სადისციპლინო კოლეგიაში და პალატაში საქმის განხილვისა და გასაჩივრების ვადების 10 სამუშაო დღემდე გაზრდა; მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს, ასევე, მოსამართლის სხვა უფლებების შენარჩუნება საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების დროს; მოსამართლის მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევა; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის მიერ საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების შემთხვევაში საბჭოს წევრის ჩამოცილება და ყველა კანდიდატის ხელახალი შეფასება; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების/წარდგინების გასაჩივრება კანდიდატების შერჩევის ყოველ შესაბამის ეტაპზე და იუსტიციის საბჭოს მიერ ხელახალი წარდგინებას მიღება; სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება;

❌ პარლამენტმა არ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონთან დაკავშირებით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მოსამართლეთა მივლინება; დისციპლინური გადაცდომის საფუძველი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების არჩევა; არამოსამართლე წევრების ეფექტიანი მონაწილეობა საბჭოს საქმიანობაში; კორპორატივიზმის პრობლემის აღმოფხვრა; საბჭოს წევრის ერთზე მეტი ვადით არჩევის შეზღუდვა; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის მინიმალური ასაკის და გამოცდილების განსაზღვრა; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატურების ნომინირების დროს ანტიჩიხური მექანიზმის შემოღება; იუსტიციის საბჭოს წევრების ჩამოცილების შემთხვევაში შემადგენლობის მოდიფიკაცია; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა; დისციპლინური სამართალწარმოების ინიციირების ვადის განსაზღვრა;

❌ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთი არამოსამართლე წევრის ვაკანტურ ადგილზე საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 17 მაისს 3 არამოსამართლე წევრი აირჩია. მიუხედავად იმისა, რომ არამოსამართლე წევრების არჩევას ხუთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ეს არ არის ფართო კონსენსუსის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება და არ გამოხატავს საპარლამენტო ოპოზიციის ერთიან მიდგომას. არამოსამართლე წევრების არჩევის შემდეგ, სამმა დეპუტატმა - როსტომ ჩხეიძემ, ნატო ჩხეიძემ და ნიკა მაჭუტაძემ ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" დატოვეს;

✅ გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცედურა „ქართულ ოცნებასა" და მთავარ ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსენსუსით შეიცვალა (პირველი მოსმენით);

❌ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ვიზის აკრძალვის შესახებ 7031(c) წესის საფუძველზე, „მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში მათი ჩართულობის გამო", სანქციები დაუწესა საქართველოს სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და "ქართული

ოცნების" სხვა ლიდერებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს სანქცირებულ მოსამართლეებს.

✕ სასამართლო სისტემაში არსებული კორუფციული ფაქტების გამოსაძიებლად სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ საპარლამენტო ოპოზიციის ინიციატივას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მოთხოვნას ეფუძნება, "ქართულმა ოცნებამ" მხარი არ დაუჭირა. საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებმა, რამდენიმე სხდომაზე, კენჭისყრის წინ რეგისტრაცია არ გაიარეს, რომლის მიზეზად მოსამართლეების მიმართ „სოლიდარობა" დაასახელეს. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციას კომისიის შესაქმნელად ხმების საკმარისი რაოდენობა ჰქონდა, კვორუმის არარსებობის გამო, კენჭისყრა ვერ შედგა.

გამოწვევები:

! მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში კოპრორატივიზმი ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად სახელდება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიციაზე ყოფილი არამოსამართლე წევრის არჩევა წარმოადგენს კოპრორატივიზმის კიდევ ერთ გამოვლინებას;

! პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში არ მოიცავს სასამართლო სისტემის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვან რეფორმას; უფრო მეტიც, „ქართული ოცნების" მიერ წარმოდგენილი ცვლილებები დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი სასამართლოს ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არ არის, რასაც ადასტურებს ვენეციის კომისიის ბოლო მოსაზრებაც;

! პარლამენტმა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები სრულად არ გაითვალისწინა და კვლავ რჩება ისეთი პრობლემები, რომლებიც მოსამართლეთა მივლინებას; მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას; საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების არჩევას; იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საქმიანობას; კორპორატივიზიმის აღმოფხვრას; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კრიტერიუმებს და ნომინირებას შეეხება;

! საქართველოს პარლამენტს მხედველობაში არ მიუღია ეუთო/ODIHR-ის 2023 წლის 15 მარტისა და 16 ივნისის რეკომენდაციების/მოსაზრებების დიდი ნაწილი;

! იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთი არამოსამართლე წევრის ვაკანტურ ადგილზე საქართველოს პარლამენტმა 3 არამოსამართლე წევრი ფართო კონსენსუსის გარეშე აირჩია;

! საქართველოს პარლამენტმა ვერ უზრუნველყო მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ფართო ჩართულობა, რაც საფრთხეს უქმნის ინკლუზიურობისა და მრავალპარტიული კონსულტაციების შესახებ ევროკავშირის პირობის შესრულებას; ამასთან, მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ ასახავს სასამართლო სისტემის წინაშე მდგარ ყველაზე პრობლემურ საკითხებს და შესაბამის საჭიროებებს;

! საქართველოს პარლამენტს ჯერ კიდევ არ აურჩევია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 არამოსამართლე წევრი;

! გენერალური პროკურორის მაღალი კვორუმით არჩევის პროცედურის პირველი მოსმენით მიღების მიუხედავად, მმართველმა პარტიამ განაცხადა, რომ ის მხოლოდ ანტიჩიხურ მექანიზმს გამოიყენებს და გენერალურ პროკურორს ერთი წლის ვადით რვაჯერ აირჩევს;

! რეკომენდაცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ორმაგი 2/3-ის უმრავლესობით ხმის მიცემის პროცედურის დანერგვის შესახებ არ იქნა გათვალისწინებული;

! ორი მოსამართლე, რომლებიც სასამართლოში გავლენიანი ჯგუფის (ე.წ. „კლანის") ლიდერებად მიიჩნევიან, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დანიშვნის პროცედურის რეფორმის გატარებამდე აირჩიეს, რაც პირობების შესრულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

პრიორიტეტი N4: ანტიკორუფციული ზომები

ევროკავშირი მოითხოვს:

“გააძლიეროს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა, რომელიც თავს მოუყრის ყველა საკვანძო ანტიკორუფციულ ფუნქციას; განსაკუთრებით კი, საგულდაგულოდ გადაჭრას მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები; აღჭურვოს ახალდაარსებული სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტო იმ რესურსებით, რომლებიც მათ მანდატს შეესაბამება და უზრუნველყოს მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.”

მოლოდინები:

» 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირის მოლოდინებია:

- ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- OECD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელიდან (ACN) გამოსვლის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა;
- ვენეციის კომისიასთან კონსულტაციები საკანონმდებლო ცვლილებებზე;

» პოლიტიკური კონტროლისგან დამოუკიდებელი ანტიკორუფციული საგენტოს შექმნა, რომელიც არსებული ინსტიტუტების როლებს გააერთიანებს და საჭირო, მათ შორის, საგამოძიებო ფუნქციებითა და შესაძლებლობებით იქნება აღჭურვილი;
» ახალი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
» სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაშლით ჩამოყალიბებული ორი ახალი ორგანოს – სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და შესაძლებლობების გაძლიერება.

სად ვართ ახლა:

✓ „ქართულმა ოცნებამ“ დააინიციირა ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა და პარლამენტში შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებები სამი მოსმენით მიიღო;
✓ ანტიკორუფციული ბიურო შექმნილია, ხოლო ხელმძღვანელად, პრემიერ-მინისტრმა, კონკურსის საფუძველზე წარდგენილი სამი კანდიდატიდან ერთ-ერთი თავად აარჩია;
✓ ანტიკორუფციულ ბიუროს ევალება კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების შესრულებაზე ზედამხედველობა, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია, მაღალი თანამდებობის პირების ქონების დეკლარაციების მონიტორინგი, მამხილებლების დაცვის გაძლიერება, პარტიების დაფინანსების მონიტორინგი (2023 წლის 1 სექტემბრიდან);
✓ ანტიკორუფციული ბიურო ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე;
✓ 2023 წლის 1 სექტემბრიდან ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი გაფართოვდა. ამოქმედდა ბიუროს ახალი ვებგვერდი;
✗ „ქართულმა ოცნებამ“ არ გაითვალისწინა რეკომენდაცია ანტიკორუფციული ბიუროს საგამოძიებო ფუნქციებით აღჭურვასთან დაკავშირებით;

✗ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილ სამუშაო ჯგუფში ჩართვის შესაძლებლობა არ მიეცა ყველა დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას;

✗ საქართველოს მთავრობამ უარი თქვა OECD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტი-კორუფციულ ქსელთან (ACN) თანამშრომლობაზე, რომლის ფარგლებშიც, ქვეყნის შეფასება, მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის კონტექსტშიც;

✗ ევროკავშირის შუალედური შეფასების შემდგომ,ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ OECD-ის ანტიკორუფციული ქსელიდან გამოსვლას "კონკრეტული მიზეზები ჰქონდა და გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, უკან დაბრუნდებიან. აქვე ხაზგასასმელია, რომ ამ ქსელიდან, არცერთი სხვა ქვეყანა გასულა, გარდა რუსეთისა და ბელორუსისა, რომელთაც თავად OECD-ის იძულების შედეგად შეუჩერდათ წევრობა;

✗ ირაკლი კობახიძემ შუალედური ანგარიშის შემდეგ ასევე აღნიშნა, რომ ვენეციის კომისიასთან სამომავლო კონსულტაციების წარმოებისთვის მზად არიან. ხოლო რაც შეეხება ანტი-კორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, აქ პრაქტიკაში ახალი კანონმდებლობის სწორად დანერგვაზეა საუბარი;

✓ "სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით, სამსახურის უფლებამოსილება გაიზარდა: გაიზარდა იმ სამართალდარღვევათა ჩამონათვალი, რომელთა გამოძიებაც სამსახურს შეუძლია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას, გენერალური პროკურატურის ნაცვლად, სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოიძიებს;

✗ 2023 წლის ივლისში სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კრიტიკის ობიექტი გახდა. საია-ს განცხადებით, სამსახურმა არ დაიწყო გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის გოგა რაზმაძის საქმეზე, რომელიც შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილეს დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ მოპყრობასა და ახსნა-განმარტების მიცემის იძულებაში ადანაშაულებდა. საგამოძიებო სამსახურის გადაწყვეტილებით, განცხადება განსახილველად იმავე უწყებას გადაეგზავნა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელის შესაძლო დანაშაულის ჩადენას უკავშირდებოდა შსს-ს თანამშრომლის წარდგენილი განცხადება;

✓ "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით, სამსახურის თანამშრომელთა სოციალური გარანტიები გაფართოვდა.

გამოწვევები:

! ანტიკორუფციული ბიუროს დემოკრატიული ანგარიშვალდებულების დეფიციტი;

! ახლადშექმნილ ანტიკორუფციულ ბიუროს საგამოძიებო ფუნქციები არ აქვს;

! კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიება კვლავ სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოს ხელშია, რაც ეწინააღმდეგება ყველა საკვანძო ანტიკორუფციული ფუნქციის ერთ ორგანოში თავმოყრის მოთხოვნას;

! ანტიკორუფციული სააგენტო კვლავ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუსი) შემადგენლობაში რჩება;

! OECD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტი-კორუფციულ ქსელთან საქართველოს მთავრობამ თანამშრომლობა შეაჩერა;

! ახალი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა არ შემუშავებულა.

პრიორიტეტი N5: დეოლიგარქიზაცია



ევროკავშირი მოითხოვს:

“დეოლიგარქიზაციის პირობისადმი ერთგულება, რაც უნდა მიღწეული იქნას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის საშუალებით”.

მოლოდინები:

» 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირის მოლოდინია:

- ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად ფოკუსირება და სისტემური მიდგომის შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, მათ შორის კონკურენციის პოლიტიკისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გაძლიერების მხრივ;

» საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები მიიჩნევენ, რომ დეოლიგარქიზაცია შეიძლება სხვა პრიორიტეტების შესრულებით იქნას მიღწეული, რაც ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან შესაბამისობაშია;
» ევროკავშირმა მხარი დაუჭირა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს, რომ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტი არ იყოს მიღებული და გამოთქვა მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს საქართველოს ხელისუფლებას უკეთესი გამოსავლის პოვნაში სისტემური მიდგომის გამოყენებით;
» ვენეციის კომისიის თანახმად, დეოლიგარქიზაციის მისაღწევად უმჯობესია სისტემური მიდგომის გატარება, რაც გულისხმობს:

- სისტემური ჩავარდნების, უფლებამოსილებისა და კოორდინაციის ხარისხის დასადგენად, არსებული სისტემური ზომების სიღრმისეული და ყოვლისმომცველი ანალიზის ჩატარებას;
- დამატებითი, შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტების, ან ზომების შემუშავებას, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:
  - ეფექტური კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბება და აღსრულება;
  - ელიტარული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და კორუფციის პრევენცია GRECO-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით;
  - საჯარო შესყიდვებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შენარჩუნება;
  - მედია-პლურალიზმის განმტკიცება და მედიის მფლობელობის გამჭვირვალობა;
  - ფულის გათეთრების წინააღმდეგ შემუშავებული პოლიტიკის განვითარება, მათ შორის, MONEYVAL-ისა და FATF-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით; იურიდიული პირებისა და ხელშეკრულებების გამჭვირვალობისა და საკუთრების შესახებ ინფორმაციის დროული და ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
  - პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების შესახებ არსებული რეგულაციებისა და არსებული კონტროლის მექანიზმების აღსრულება;
  - საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება.
  - ძირითადი მარეგულირებელი და კონტროლზე პასუხისმგებელი უწყებების დამოუკიდებლობის და ეფექტურობის განმტკიცებას;

- სხვადასხვა უწყებას (ანტი-კორუფციული უწყებები, ანტი-მონოპოლიური კომიტეტი, აუდიტის სამსახური, საბანკო ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ერთეულები და ა.შ.) შორის თანამშრომლობის გაზრდის ჭრილში, პოლიტიკაში, ეკონომიკასა და საჯარო სივრცეში „ოლიგარქიული“ გავლენების პრევენციისა და აღმოფხვრის გზების შეფასებას;
- შესაძლო გავლენების/შედეგების შეფასების რეგულარული ინტერვალებით ჩატარებას.
- ვენეციის კომისია ხაზს უსვამს, რომ, ზემოხსენებული სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, კატეგორიულ საჭიროებას წარმოადგენს სასამართლოს, მათ შორის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ძირეული რეფორმირება, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასამართლოს დამოუკიდებლობა, შეუვალობა და მიუკერძოებლობა.

შენიშვნა:
ევროკავშირს დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტი
თავიდანვე არ მოუთხოვია.

სად ვართ ახლა:

⏳ ევროკავშირი შუალედურ შეფასებაში მიესალმა მმართველი პარტიის გადაწყვეტილებას, რომ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტს, რომელიც ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, არ უნდა ყოფილიყო მიღებული, პარლამენტი აღარ მიიღებს;
⏳ ევროკავშირის სისტემური მიდგომის მოლოდინთან დაკავშირებით, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, ისინი ნახავენ, რა შეიძლება გაკეთდეს ევროკავშირის მიერ დასახელებულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, მისი აზრით, “დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით შეფასებამ აჩვენა, რომ ცალკე პუნქტად დეოლიგარქიზაციის გამოტანამ 12 რეკომენდაციაში ბუნდოვანება შექმნა და უადგილო იყო”, ხოლო დეოლიგარქიზაციის პუნქტი “ბუნდოვანი” და “არასათანადო”. ირაკლი კობახიძის განცხადებით, საჭიროა დაკონკრეტება, თუ რა იგულისხმება დეოლიგარქიზაციაში - “თუ საუბარია მხოლოდ სისტემურ მიდგომაზე, მაშინ უნდა იყოს ჩამოთვლილი კონკრეტული ნაბიჯები, რაც უნდა გადაიდგას საქართველოს პარლამენტის და ხელისუფლების მხრიდან.” ასევე, მისი თქმით, ევროკავშირის მიერ დასახელებულ საკითხებში საქართველოს უკვე აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი და საჭირო იქნება კონკრეტიკა ევროკომისიისგან, რასთან დაკავშირებითაც კონსულტაციები ექნებათ. თუმცა, საგულისხმოა, რომ ევროკავშირის მიერ პრიორიტეტების წარდგენის შემდეგ უკვე 1 წელზე მეტია გასული, რა დროშიც შესაძლებელი იყო ევროკავშირთან კონსულტაციისა და პრიორიტეტის შინაარსის დაზუსტება.
4 სექტემბერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 67-ე სხდომაზე დეოლიგარქიზაციის სისტემურ მიდგომასთან დაკავშირებით დამტკიცდა დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის პროექტი. შალვა პაპუაშვილის განცხადებით, “უახლოეს მომავალში მოხდება მთლიანად ამ სამოქმედო გეგმის მიღება”, რომელიც განსაზღვრავს იმ ნაბიჯებს, რაც შესაბამისობაში იქნება ვენეციის კომისიის დასკვნებთან და ევროკავშირის მოთხოვნებთან.

დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები:

⏳ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი მიღებულია ორი მოსმენით და გაეგზავნა ვენეციის კომისიას. ვენეციის კომისიის დასკვნის მიღების შემდეგ, პარლამენტმა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით, „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტი მეორე მოსმენაზე დააბრუნა, კანონპროექტში გარკვეული ცვლილებები შეიტანა და კვლავ ვენეციის კომისიას გაუგზავნა შეფასებისთვის;
❌ ვენეციის კომისიის დასკვნით, საჯარო განცხადებების ფონზე, საქართველოს დეოლიგარქიზაციის კანონპროექტი შეიცავს დიდ რისკს, რომ მიღების შემდეგ იგი ოპოზიციაზე გავრცელდება;
⏳ ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ „კანონპროექტი მთავრობას ზედმეტ გავლენას ანიჭებს ამ პროცესზე“; განახლებული კანონპროექტით, პირის ოლიგარქად ცნობის საკითხს მთავრობის ნაცვლად ანტიკორუფციული ბიურო გადაწყვეტს, თუმცა ოლიგარქად ცნობის პროცედურის დაწყებაში მთავრობის პრეროგატივა იგივე რჩება;
⏳ ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ „ოლიგარქებად“ დასახელებული პირებისათვის პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო და პოლიტიკური კამპანიების, „პოლიტიკური მოთხოვნებით“ მიტინგებისა და დემონსტრაციების დაფინანსების აკრძალვამ შეიძლება დაარღვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები; განახლებულ კანონპროექტში აღნიშნული შეზღუდვები აღარაა გათვალისწინებული;
⏳ ვენეციის კომისიის მიერ შუალედურ შეფასებაში გამოთქმულ რეკომენდაციებს შორის იყო:
● ძირითადი დებულებებისა და პროცედურების კლასიფიკაცია, როგორიცაა „პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობა“, „მასმედიაზე მნიშვნელოვანი გავლენის ქონა“ და ა.შ.; განახლებულ კანონპროექტში აღნიშნული განმარტებები დამატებულია, მაგრამ ზოგი კრიტერიუმი კვლავ ბუნდოვანია;
● პროცედურული გარანტიებისა და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების შემუშავება; განახლებული კანონპროექტით, პირს ექნება უფ-

ლება მისი ოლიგარქად ცნობის პროცედურაში წარმოდგენილ იქნეს წარმომადგენლის მეშვეობით და შემდგომ შეეძლება გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრება;

● „ოლიგარქად“ დასახელების გამო გამოწვეული სამართლებრივი შედეგების პროპორციულობის უზრუნველყოფა. განახლებულ კანონპროექტში პირის ოლიგარქად ცნობის შედეგად ოლიგარქს აღარ შეეზღუდება პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური კამპანიებისა და დემონსტრაციების დაფინანსება. ოლიგარქად ცნობილ პირს კვლავ ეკრძალება პრივატიზების პროცესში მონაწილეობა და გამონაკლისების გარდა, კვლავ სავალდებულო იქნება ოლიგარქად ცნობილ პირთან კომუნიკაციის დეკლარირება, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევის რისკს ქმნის;

✕ ვენეციის კომისია უპირატესობას სისტემურ მიდგომას ანიჭებს, მაშინ როდესაც წარდგენილი კანონპროექტი "პერსონალურ" მიდგომას ეყრდნობა. განახლებული კანონპროექტი კვლავ "პერსონალურ" მიდგომას ეფუძნება;

✕ არსებული რისკების გათვალისწინებით, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ კანონპროექტის "პერსონალური" მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს და ახდენს პიროვნებების სტიგმატიზაციას ბუნდოვან კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შეიცავს მაღალ რისკს, რომ ადამიანის უფლებები დაირღვეს. განახლებული კანონპროექტით პირის ოლიგარქად ცნობა და რეესტრში შეყვანა თავისთავად არ მოწმობს, რომ ეს პირი სამართალდამრღვევია;

✕ ვენეციის კომისიის აზრით, განახლებულ კანონპროექტში შეტანილი ცვლილებები ვერ აღმოფხვრის გარდაუვალ წინააღმდეგობას ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სტანდარტებთან და ამიტომ საჭიროა სისტემური მიდგომა, ხოლო ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, განახლებული კანონპროექტი არ უნდა იქნეს მიღებული;

✕ მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნება" აცხადებდა, რომ თითქოს, ევროკომისიასა და ვენეციის კომისიას განსხვავებული პოზიციები აქვთ და ევროკომისია პერსონალურ მიდგომას ითხოვს, მაშინ როდესაც ვენეციის კომისია სისტემურ მიდგომას ანიჭებს უპირატესობას. „ქართულმა ოცნებამ", როგორც პარტიის ლიდერები განმარტავდნენ, პრიორიტეტის შესრულების მიზნით, კანონპროექტი მეორე მოსმენით მაინც მიიღო. „ქართული ოცნება" კანონპროექტის მიღებას მესამე მოსმენითაც აპირებდა, თუმცა იმ დათქმით, რომ ის 2024 წლის მარტიდან ამოქმედდებოდა. ასევე, „ქართული ოცნებამ" ევროკომისიას ერთგვარი პირობა წაუყენა, რომ თუ ევროკომისია დეოლიგარქიზაციას პრიორიტეტების ჩამონათვალიდან ამოიღებდა, მაშინ ისინი კანონს აღარ აამოქმედებდნენ; ამასთან, შემდგომ ირაკლი კობახიძემ დააზუსტა, რომ ისინი ევროპელი პარტნიორების თხოვნას გაითვალისწინებენ და კანონპროექტს დეკემბრამდე აღარ დაუბრუნდებიან. ხოლო დეკემბერში დაელოდებიან ევროკავშირის შეფასებას, მოიხსნება თუ არა დეოლიგარქიზაცია პრიორიტეტებიდან;

✕ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ოპოზიციის ნაწილი დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის მიღების წინააღმდეგნი არიან, რადგან, კანონით დეოლიგარქიზაციის პრობლემა არ გადაიჭრება, ხოლო აღნიშნული კანონპროექტი მხოლოდ ოპოზიციისა და კრიტიკული მედიის მხარდამჭერებს შეეხება. ასევე, მათი აზრით, დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტის მიღება საჭირო არაა და პრობლემასთან გამკლავება სისტემური მიდგომით და სხვა პრიორიტეტების შესრულებითაა შესაძლებელი.

გამოწვევები:

! ვენეციის კომისიამ კანონპროექტში მნიშვნელოვანი ხარვეზები დაინახა. კომისიის რეკომენდაციით, არსებულ კანონპროექტს, რომელიც პერსონალურ მიდგომას ეფუძნება, სისტემური ტიპის მიდგომა სჯობს, ხოლო პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი არ უნდა იქნას მიღებული;

! საჭიროა დეოლიგარქიზაციის პრობლემის სისტემური გზით მოგვარება.

პრიორიტეტი N 6: ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა



ნაწილობრივ შესრულდა

ევროკავშირი მოითხოვს:

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რაც უნდა დაეფუძნოს საფრთხის დეტალურ შეფასებებს, კერძოდ, საგულდაგულო გამოძიებების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების სანდო გამოცდილების უზრუნველყოფის გზით;
სამართალდამცველი უწყებების ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა უნდა იყოს გარანტირებული.

მოლოდინები:

» 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირის მოლოდინებია:
-ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (ევროპის საბჭოს MONEYVAL) რეკომენდაციების შესრულება;
» ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება;
» სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა.

სად ვართ ახლა:

⌛ ევროკომისიის მიერ 22 ივნისს წარმოდგენილ შუალედურ ანგარიშთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მმართველის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა: "*გვექნება კონსულტაციები და ამის საფუძველზე გაგრძელდება მუშაობა იმისათვის, რომ ჩვენი კანონმდებლობა მაქსიმალურად დაუახლოვდეს „MONEYVAL"-ის რეკომენდაციებს";*
✅ სამუშაო ჯგუფმა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ არსებული სიტუაციის მიმოხილვა და შეფასება ჩაატარა და 8 შეხვედრა გამართა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები დახურული იყო;
✅ სამუშაო ჯგუფის შეხვედრების შედეგად, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი, რომელიც 76 კონკრეტულ გადასადგმელ ნაბიჯს მოიცავს, ასევე განსაზღვრულია მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოები და მათი შესრულების ვადები; დოკუმენტი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფები, ტრეფიკინგი და ფულის გათეთრება, კიბერ და ნარკოდანაშაულები, ტერორიზმის დაფინანსება და ა.შ.; დოკუმენტი მოიცავს MONEYVAL-ის მეხუთე რაუნდის შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების დაინიციირების ვალდებულებას;
✅ პარლამენტმა მიიღო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის 2022-24 წლების სამოქმედო გეგმა;
✅ საქართველოს პარლამენტმა MONEYVAL-ის მეხუთე რაუნდის შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო კანონებში „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ", „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" და სხვა საკანონმდებლო აქტებში;

⏳ MONEYVAL-ის 2022 წლის ნოემბრის ტექნიკური შესაბამისობის ხელახალი შეფასების მიხედვით, საქართველომ სრულად შეასრულა 6, მეტწილად შეასრულა 22, ნაწილობრივ შეასრულა 11 და არ შეუსრულებია MONEYVAL-ის ერთი რეკომენდაცია. მიღწეული პროგრესის შესახებ საქართველო MONEYVAL-ს 2023 წლის ნოემბრისთვის უნდა შეატყობინოს;

❌ სამუშაო ჯგუფმა არ იმუშავა სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და მათზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად პარლამენტის რეგლამენტში განსახორციელებელ ცვლილებებზე, იმ არგუმენტით, რომ აღნიშნულ საკითხზე მეორე პრიორიტეტის შესასრულებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფი იმუშავებდა;

❌ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი საპარლამენტო ოპოზიციას არ აძლევს კომიტეტის მუშაობაში სრულფასოვნად ჩართვის შესაძლებლობას, რაც თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში ვიზიტების შესახებ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი დეპუტატებისთვის ინფორმაციის არ მიწოდებაში გამოიხატება;

❌ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიური ანგარიში საქართველოს პარლამენტის წევრებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ნაცვლად, სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა, რაც პარლამენტის რეგლამენტის დარღვევას წარმოადგენს; სამსახურის ანგარიში ზედაპირულია და საქართველოს პარლამენტის წევრებს ვერ აწვდის აუცილებელ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის შესახებ.

გამოწვევები:

! თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შექმნილ სამუშაო ჯგუფს სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის საკითხებზე არ უმუშავია;

! სამუშაო ჯგუფში ჩართულმა ორმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ჯგუფში მუშაობა ISFED-თან დაკავშირებული დისკრიმინაციული გადაწყვეტილების გამო შეაჩერა;

! თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა არ გაითვალისწინა რეკომენდაციები, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულების გაზრდას და ზედამხედველობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას შეეხებოდა;

! სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები საზოგადოებისთვის არ არის ხელმისაწვდომი;

! სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის საკითხები კვლავ გამოწვევად რჩება - ‘‘ნდობის ჯგუფს’’ ამ დრომდე არ ჰყავს მეხუთე წევრი საპარლამენტო უმცირესობის კვოტიდან; თავის მხრივ, ნდობის ჯგუფს არ გააჩნია ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე;

! საპარლამენტო ოპოზიციას არ აქვს კომიტეტის სხდომაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის და გენერალური პროკურორის დაბარების უფლება;

! ხელისუფლებას შესასრულებელი რჩება MONEYVAL-ის რეკომენდაციების ნაწილი;

! საპარლამენტო ოპოზიციის შეკითხვებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები დაგვიანებით, ან არასრულად პასუხობენ;

! კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო დასწრების რეგლამენტით დადგენილი ვალდებულების მიუხედავად, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე არ ცხადდებიან.

პრიორიტეტი N7: მედია



ევროკავშირი მოითხოვს:

„უფრო ძლიერი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმისათვის, რომ მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს იურიდიულ სტანდარტებს, და ჩატარდეს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარების შემთხვევებზე.“

მოლოდინები:

» 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირის მოლოდინებია:

- “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების განხორციელება ევროპის საბჭოს მოსაზრებების მხედველობაში მიღებით;
- ჟურნალისტებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;
- ჟურნალისტებისა და მედიის მესაკუთრეებისთვის თავისუფლების უფლების დაცვის ხარისხის გაუმჯობესება;

» „მთავარი არხის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას, პატიმრობიდან გათავისუფლება;
» „ფორმულასა“ და „TV პირველის“ მფლობელებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლისა და სხვა სახის სამართლებრივ დავებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის ამავე მედიების თავისუფლებას, სამართალწარმოების შეწყვეტა;
» 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტების მიმართ ძალადობის ჩამდენებისა და ორგანიზატორების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა;
» მედიის წარმომადგენლების უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადების ფაქტებზე გამოძიების დასრულება და დამნაშავეების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა;
» ფართო კონსენსუსის საფუძველზე, საქართველოს მედიის მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზება აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ ევროკავშირის დირექტივასთან;
» მედიის საქმიანობისთვის ხელისშემშლელი კანონმდებლობის ნებისმიერი სახით ინიციირებისა და მასზე განხილვების დაწყებისგან/განახლებისგან თავის შეკავება ან/და არმიღება.

სად ვართ ახლა:

✅ 2023 წლის 23 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია შეიწყალა;
⌛ „ქართულმა ოცნებამ“ დადო პირობა, რომ პარლამენტი, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მიმდინარე გამოძიებების შესახებ;
✅ მმართველმა პარტიამ “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ 2023 წლის 24 და 31 მაისს კანონპროექტები დაინ-

იციირა. განმარტებითი ბარათების მიხედვით, ცვლილებების მიზანს კანონმდებლობის ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის სამართლებრივი დასკვნით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენდა. შემოთავაზებული ცვლილებებით სიძულვილის ენის, ტერორიზმისკენ მოწოდების საკითხი კომისიის რეგულირებას აღარ ექვემდებარება. კომისიის გადაწყვეტილებები აღარ ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას იმ ჯარიმებზე, რომელიც მაუწყებლის წლიური შემოსავლის 1%-ს და ამავდროულად 5000 ლარს აღემატება ან გადაწყვეტილება მოიცავს მაუწყებლის ავტორიზაციის შეჩერება/გაუქმების საკითხს. თუმცა, ინიციირებული ცვლილებებიდან ბუნდოვანია პასუხის უფლება კვლავ კომისიის რეგულირების საგანს წარმოადგენს თუ სრულად გადის კომისიის რეგულირების ფარგლებიდან. 2023 წლის 30 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა "მაუწყებლობის შესახებ" კანონში აღნიშნული ცვლილებების შეტანას.

აღნიშნულ ცვლილებებს წინ უძღოდა შემდეგი მოვლენები:

❌ 2022 წლის 22 დეკემბერს პარლამენტმა ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ დირექტივასთან ჰარმონიზაციის მოტივით მიიღო ხარვეზიანი ცვლილებები. კანონი სამოქალაქო საზოგადოებამ რამდენიმე ფუნდამენტურ საკითხში გააკრიტიკა, როგორც მედიის თავისუფლებისთვის საზიანო და ევროკავშირის დირექტივასთან შეუსაბამო. კერძოდ, ცვლილებებით:

(1) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაექვემდებარებოდა დაუყოვნებლივ აღსრულებას;

(2) პასუხის უფლების არსი სცდებოდა ევროდირექტივის მოთხოვნის ფარგლებს და მასზე კონტროლი გაუმართლებლად დაექვემდებარებოდა კომისიის მანდატს;

(3) სიძულვილის ენის მარეგულირებელი ნორმები შეიცავდა მედიის თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის სერიოზულ რისკს, როგორც სიძულვილის ენის დეფინიციის, ისე რეგულირების მექანიზმის პრობლემურობის გამო;

❌ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნის თანახმად, „მაუწყებლობის შესახებ კანონის" რამდენიმე მიმართულება არ შეესაბამებოდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს სტანდარტებს. ევროპის საბჭომ მიუთითა საქართველოს პარლამენტს, შესაბამისობაში მოეყვანა "მაუწყებლობის შესახებ" კანონი ევროდირექტივასთან;

✅ "მაუწყებლობის შესახებ" 2023 წლის 17 მაისს დაინიციირებული კანონპროექტით, რომელიც 2023 წლის 31 მაისს პირველი მოსმენით იქნა მიღებული, 9-დან 11-მდე იზრდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ენიჭებოდა სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატებიდან 2 კანდიდატის საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენის უფლებამოსილება. კომისიის საქმიანობისა და მისი პოლიტიკური მიკერძოების საკითხზე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებული მწვავე კრიტიკის გათვალისწინებით, გაუგებარია რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში კომისიის გავლენებისა და ინტერესების შემოყვანა მმართველი პარტიის მიერ. კანონპროექტის კანონად ქცევა, დიდი ალბათობით, გაზრდიდა მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოში პოლიტიკურ გავლენებს და კიდევ უფრო მეტ საფრთხეს შეუქმნიდა მის დამოუკიდებლობას;

საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 3 ივლისს მესამე მოსმენით კანონპროექტს მხარი დაუჭირა. კანონპროექტის საბოლოო ვერსია აღარ ითვალისწინებს კომისიის უფლებამოსილებას სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატებიდან 2 კანდიდატი წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს;

❌ საქართველოს პარლამენტმა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში 2023 წლის 3 ივლისსავე შეტანილი ცვლილებებით გააუქმა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო. საბჭოს უფლებამოსილებები საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფუნქციებში გადავიდა. ამ უკანასკნელის შემადგენლობა 9-იდან 11-მდე გაიზარდა, საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭო ერთის ნაცვლად სამ წევრს წარადგენს. მრჩეველთა საბჭოს გაუქმებას არ ჰქონდა რაიმე ლეგიტიმური მიზანი. მისი გაუქმება და ფაქტობრივად, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთვის შეერთება აძლიერებს მმართველი პარტიის გავლენებს მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოში;

❌ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოსცა ახალი ბრძანება საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის დამტკიცების თაობაზე, რომლის ნაწილიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და არღვევს პარლამენტში მედიის თავისუფლად საქმიანობის უფლებას. საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 6 აპრილს აღნიშნული ბრძანების საფუძველზე პარლამენტში საქმიანობის აკრედიტაცია შეუჩერა კრიტიკული მედიის "ფორმულას", "ტვ პირველისა" და "მთავარი არხის" სამ ჟურნალისტსა და ორ ოპერატორს. პარლამენტმა აღნიშნული წესის საფუძველზე 2023 წლის 11 მაისს აკრედიტაცია ასევე შეუჩერა ფორმულას ჟურნალისტს და ოპერატორს. ჯამში პარლამენტის მიერ ხსენებული წესის გამოყენებით 7 ჟურნალისტს/ოპერატორს შეუჩერდა აკრედიტაცია;

❌ საპარლამენტო უმრავლესობამ პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ კანონს, რომელიც, ევროკავშირის წარმომადგენლების თანახმად, ევროპულ ღირებულებებსა და პრინციპებს და 12 პრიორიტეტიდან მინიმუმ ორს ეწინააღმდეგებოდა. საპარლამენტო უმრავ-

ლესობამ, მასობრივი პროტესტის შემდეგ, მეორე მოსმენაზე კანონპროექტი ჩააგდო;
❌ კანონპროექტის აღსრულება საბოლოოდ დამოუკიდებელი მედიის ნაწილის საქმიანობის შეწყვეტას გამოიწვევდა;
⏳ 2023 წლის 4 ივლისს მმართველი პარტიის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, 12 კრიტერიუმიდან მედიის მიმართულებით ევროკავშირის მოლოდინს წარმოადგენდა მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა ევროპის საბჭოს სამართლებრივი დასკვნის შესაბამისად, რაც უკვე შესრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ორგანიზაციის განცხადებით 5 ივლისის საქმეზე ორგანიზატორების პასუხისმგებლობა დასტურდება, ირაკლი კობახიძის 2023 წლის 5 ივლისის განცხადებით, 2021 წლის 5 ივლისის საქმეზე ძალადობის ორგანიზატორების იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო, რადგან არცერთი ფაქტით არ დგინდება, რომ 5 ივლისს ჩადენილ დანაშაულებს ჰყავდა ორგანიზატორი;
❌ 2023 წლის 27 ივნისს თავს დაესხნენ ტელეკომპანია "ფორმულას" თანადამფუძნებელს მიშა მშვილდაძეს. ჟურნალისტური გამოძიებით დადგენილი გარემოებებით, ფაქტობრივად დასტურდება, რომ მიშა მშვილდაძეზე თავდასხმა წარმოადგენდა ორგანიზებულ დანაშაულს, რომელშიც სავარაუდოდ ჩართულები არიან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები. ამ ეტაპისთვის საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმე, ამოღებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებიდან და საქმეს სპეციალურ საგამოძიებო სამსახური იძიებს;
✅ 2023 წლის 4 აგვისტოდან დავით კეზერაშვილი აღარ არის ტელეკომპანია "ფორმულის" საკონტროლო პაკეტის მფლობელი. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დააკმაყოფილა დავით კეზერაშვილის მოთხოვნა და კუთვნილი 51 პროცენტიანი წილიდან 25 პროცენტი გადაეცა თანამშრომელთა გაერთიანებას - ააიპ "თავისუფლების ფორმულას".

გამოწვევები:

! TV პირველის დამფუძნებელთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალაში რჩება. ამ ეტაპისთვის საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს;
! ტელეკომპანია "ფორმულას" დამფუძნებლის, დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დავა გრძელდება სასამართლოში
! 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორები არ არიან დასჯილნი;
! ჟურნალისტების უკანონო მოსმენის ფაქტები არ არის გამოძიებული. დანაშაულის ორგანიზატორები ამ დრომდე არ გამოვლენილან და არ დასჯილან;
! ჟურნალისტებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის საკითხი და კონკრეტულ ფაქტებზე სახელმწიფოს ეფექტიანი რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება;
! მედიის საქმიანობისთვის ხელისშემშლელი კანონების პარლამენტში ინიცირება, მისი პარლამენტში განხილვა ან/და მიღება მედიის თავისუფლების მდგომარეობას გააუარესებს.
! საქართველოს პარლამენტში მედიას ხელი ეშლება თავისუფლად საქმიანობაში პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ახალი არაკონსტიტუციური ბრძანების შედეგად.
! კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების გაჩუმების მიზნით, ცილისწამების საფუძვლით დაწყებული სამართალწარმოებების (SLAPP საქმეები) მზარდი ტენდენცია საფრთხეს უქმნის თავისუფალ მედიას და სიტყვის თავისუფლებას.

პრიორიტეტი N8: მოწყვლადი ჯგუფები

ევროკავშირი მოითხოვს:

“სასწრაფოდ გაძლიერდეს მოწყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის, მოძალადეების და ამ ძალადობის დამკვეთების მართლმსაჯულებისადმი უფრო შედეგიანად წარდგომის გზით”.

მოლოდინები:

» 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირის მოლოდინებია:
- მთავრობამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა ინკლუზიური მიდგომით;
- აუცილებელია გარანტირებული იყოს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება LGBTQI თემის წარმომადგენლებისთვის;

» 2021 წლის 5 ივლისის სიძულვილით მოტივირებული ძალადობის გამოძიება და ორგანიზატორებისა და შემსრულებლების დასჯა;
» მოწყვლადი ჯგუფების დაცვის გაძლიერება;
» ჰომოფობიისა და ქსენოფობიის შემცირებისთვის საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების წარმოება;
» ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გასაზრდელად სპეციალური მექანიზმების შემუშავება. ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებებიდან სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მონაწილეობით, საქართველოს მთავრობასა და პარლამენტთან დემოკრატიული, ინკლუზიური და რეგულარული საკონსულტაციო მექანიზმის შექმნა.

სად ვართ ახლა:

❌ 2021 წლის, 5 ივლისის სიძულვილით მოტივირებული ძალადობის არცერთი ორგანიზატორი დასჯილა;
✅ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და საქართველოს პარლამენტმა დამტკიცა „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის”. დოკუმენტს მხარი დაუჭირა ოპოზიციის ნაწილმაც;
⏳ დაწყებულია მუშაობა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე;
⏳ ევროკავშირის შუალედური შეფასების შემდგომ, ირაკლი კობახიძის განცხადებით:
- სტრატეგია დამტკიცებულია, სამოქმედო გეგმაც შემუშავდება და ინკლუზიურობისთვისაც მზად არიან.
- LGBTQI თემის წევრების შეკრების თავისუფლებისა და დაცვის უზრუნველყოფაზე კობახიძემ განაცხადა, რომ ამ დღეებშიც იმართება შესაბამისი შეკრებები და პოლიცია არის მაქსიმალურად მობილიზებული იმისათვის, რომ უსაფრთხოება იყოს დაცული.

❌ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო LGBTQI+ ჯგუფის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების და უსაფრთხოების უფლებების დაცვა. კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური დაპირების მიუხედავად, თბილისში თბილისი პრაიდის კვირეულის ფარგლებში, ფესტივალი არ ჩატარდა, რადგან პოლიციამ არ უზრუნველყო ფესტივალის მონაწილეთა უსაფრთხოება ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან;

❌ ევროპარლამენტარები ევროკავშირის ხელმძღვანელობას მოუწოდებენ, "ალტ-ინფო" და მისი ლიდერი, კონსტანტინე მორგოშია დაასანქციირონ. ამის შესახებ ექვსი ევროპარლამენტარის საერთო წერილშია ნათქვამი. წერილის ადრესატები არიან: ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი, საქართველოში ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი და თანასწორობის საკითხებში ევროკომისარი ჰელენა დალი. ევროპარლამენტარები წერილის ადრესატებს მოუწოდებენ, "ყველა საჭირო ნაბიჯი გადადგან, რათა უმაღლეს დონეზე დაგმონ კვირას, 8 ივლისს Tbilisi Pride-ის წინააღმდეგ LGBTIQ-ფობიური თავდასხმები".

❌ ეროვნული სტრატეგიიდან LGBTQI თემის უფლებების დაცვის საკითხი მთლიანად ამოღებულია. სტრატეგიის შემუშავების პროცესში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ჩართულნი არ იყვნენ, მათ შენიშვნები მოგვიანებით მიაწოდეს, მათ შორის, ცალკე თავი LGBTQI ადამიანების უფლებების ნაწილზე, თუმცა რეკომენდაციები არ გაუთვალისწინებიათ;

⏳ მთავრობა აცხადებს, რომ აგრძელებს პოლიტიკის გატარებას, რათა გააძლიეროს ეთნიკური უმცირესობები, მათ შორის, მხარი დაუჭიროს ეთნიკურ უმცირესობებს ქართული ენის შესწავლაში, ყველა დონეზე განათლების ხელმისაწვდომობაში, სახელმწიფო ორგანოებში სტაჟირების შესაძლებლობაში და მათ მშობლიურ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

⏳ ჟურნალისტებისა და ოპერატორების, მათ შორის, ლექსო ლაშქარავას მიმართ ფიზიკურ ძალადობაში მსჯავრდადებულები სააპელაციო სასამართლომაც დამნაშავედ ცნო, თუმცა ძალადობის ორგანიზებისთვის კვლავ არც ერთი ადამიანი დასჯილა.

❌ შსს-ს განცხადებით, 5 ივლისის საქმეზე სამართლებრივ პასუხისმგებლობაში 31 პირია მიცემული. თუმცა, ძალადობის ორგანიზების ბრალდება არც ერთ მათგანს კვლავ არ ეხება;

! "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ კანონის მიღების მცდელობის ჩავარდნის შემდეგ, "ქართული ოცნების" ლიდერებისგან დაიწყო და უპრეცედენტოდ გაძლიერდა LGBTQI+ ჯგუფების საწინააღმდეგო რიტორიკა.

2023 წლის 4 მაისს, უნგრეთში, კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კომიტეტის [CPAC] კონფერენციაზე სიტყვით გამოვლისას, პრემიერმა ღარიბაშვილმა არაერთი ჰომოფობიური განცხადება გააკეთა, მან თქვა, რომ *„არ დავუშვებთ უმცირესობის ძალადობას – უმრავლესობაზე. მხარს არ დავუჭერთ უმცირესობის მცდელობას, აგრესიული პროპაგანდით შეცვალოს ფასეულობები, რაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ღმერთის მიერ დადგენილად მიაჩნია"*. მან თბილისში ღირსების მარშის ჩატარება "მეტად პროვოკაციულ ღონისძიებად" შეაფასა. ქართული ოცნების ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ "LGBT პროპაგანდა" "არასახელმწიფოებრივ საქმიანობებს" შორის მოიხსენია. მან აგრეთვე მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი სტუდენტები შეაფასა შემდეგნაირად - *„მათი ორიენტაცია ყველანაირად არის არეული, მე მგონი ეს ადამიანები უნდა მოექცნენ სწორ რელსებზე - საჭიროა, რომ ბიჭებმა ცოლები მოიყვანონ, გოგოები დაქორწინდნენ გამრავლდნენ და ა.შ. მათი ყველანაირი ორიენტაცია პოლიტიკურიდან დაწყებული უნდა გამოსწორდეს, ეს არის ჩვენი ამოცანა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის, მათ შორის ახალგაზრდების გადასარჩენად";* „მმართველი გუნდის ლიდერს, მამუკა მდინარაძეს სარწმუნოდ მიაჩნია მოსაზრება, რომ „ლგბტ-პროპაგანდამ" შესაძლოა *„დრამატულად გაზარდოს კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლების რაოდენობა"*. პარლამენტში „ქართული ოცნების" სატელიტური ოპოზიციური პარტიის „სოციალ-დემოკრატების" ლიდერი, ფრიდონ ინჯია აცხადებს რომ პარლამენტს „ლგბტ-პროპაგანდის" კანონით აკრძალვის შესახებ კანონპროექტით მიმართავენ და აღნიშნავს, რომ იწონებს და უერთდება ამ ინიციატივას.

გამოწვევები:

! 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორები ამ დრომდე არ დასჯილან;

! LGBTQI+ ჯგუფის უფლებების დაცვა გაქრა პოლიტიკური დღის წესრიგიდან. უფლებათა 2022-2030 ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტიდან მთავრობამ საერთოდ ამოიღო მათი უფლებრივი მდგომარეობის საკითხი და სტრატეგია LGBTQI+ თემის უფლებების დაცვას არ ითვალისწინებს, რასაც დიდი კრიტიკა მოჰყვა თემის წევრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან;

! მმართველმა გუნდმა პოლიტიკურ ინსტრუმენტად აქცია LGBTQI+ თემა და უპრეცედენტოდ გააძლიერა მათ წინააღმდეგ სიძულვილის რიტორიკა.

! მთავრობის ადმინისტრაციაში კვლავ არ შემუშავებულა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმა და კვლავ არ არიან ჩართულები საზოგადოებრივი ორგანიზაციები პროცესში;

! საქართველოს ხელისუფლებამ არ უზრუნველყო LGBTQI+ თემის წევრთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების და უსაფრთხოების უფლებების დაცვა ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან;

! საქართველოს მთავრობასა და პარლამენტთან, დემოკრატიული, ინკლუზიური და რეგულარული საკონსულტაციო მექანიზმი ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გასაზრდელად არ შექმნილა.

პრიორიტეტი N9: გენდერული თანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა

მეტწილად შესრულდა

ევროკავშირი მოითხოვს:

“გაძლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ”.

მოლოდინები:

» გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება სამართალდამცავი ორგანოების მიერ გენდერული თანასწორობის შესახებ კანონების უკეთ აღსრულების გზით;
» გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის შესახებ ახალი სამოქმედო გეგმის მიღება;
» გაუპატიურების განმარტების შეცვლა სტამბულის კონვენციის მიხედვით;
» „მსხვერპლის სტატუსის“, როგორც სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის წინაპირობის მოხსნა.

სად ვართ ახლა:

✅ პარლამენტმა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში ცვლილებები მრავალპარტიული მხარდაჭერით მიიღო;
✅ კანონპროექტების გენდერზე გავლენის შეფასება სავალდებულო გახდა;
✅ მიღებული ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო გარდა ფორმალური გენდერული თანასწორობის მიღწევისა, უზრუნველყოფს ქალსა და მამაკაცს შორის რეალური/ფაქტობრივი თანასწორობის დამკვიდრების სტიმულირებას;
✅ მთავრობამ მიიღო დადგენილება ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ;
✅ სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობის საჭიროებისას “მსხვერპლის სტატუსის” არსებობის წინაპირობა გაუქმდა;
✅ პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია მიიღო;
✅ პარლამენტმა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია დაამტკიცა;
✅ პარლამენტმა, ოპოზიციონერი დეპუტატის თავმჯდომარეობით, ქალების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის საკითხზე თემატური მოკვლევა ჩაატარა;
⏳ გაუპატიურების განმარტების სტამბულის კონვენციასთან ჰარმონიზების მიზნით, პარლამენტში თემატური მოკვლევა მიმდინარეობს, რომლის დასრულების ვადაც 2023 წლის 27 აპრილი იყო, თუმცა ჯერ ორი თვით და შემდგომ კვლავ გადაიდო;
✅ პარლამენტმა ერთი მოწვევით (2032 წლის ჩათვლით) გაზარდა საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის გენდერული კვოტირების მოქმედების ვადა;
✅ გატარებულ ცვლილებებს ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მხარს უჭერენ.

გამოწვევები:

! გაუპატიურების განმარტება სტამბულის კონვენციის მიხედვით ჯერ არ შეცვლილა;
! გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციამ დაავიწროვა გენდერის დეფინიცია და ის LGBTQI თემის უფლებების დაცვას არ ითვალისწინებს;
! ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციამ დაავიწროვა გენდერის დეფინიცია და ის LGBTQI თემს აღარ მოიცავს.

პრიორიტეტი N10: სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა



ევროკავშირი მოითხოვს:

„უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე“.

მოლოდინები:

» 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირის მოლოდინია:

- განახლდეს სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსტრუქციული დიალოგი და ჩატარდეს რეგულარული და გამჭვირვალე კონსულტაციები;

» 12 პრიორიტეტის შესრულებაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა;
» სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმასრულებელ, საპარლამენტო და ადგილობრივ დონეებზე;
» საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა ეროვნული პოლიტიკების, სტრატეგიული დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების შედგენაში;
» საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისთვის ხელისშემშლელი კანონმდებლობის ნებისმიერი სახით ინიციირებასა და მასზე განხილვების დაწყებისგან/განახლებისგან თავის შეკავება ან/და არმიღება.

სად ვართ ახლა:

⏳ „ქართულმა ოცნებამ“ პირობა დადო, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს 12 პრიორიტეტის შესრულებაში ჩართავდა და მათი ეფექტური მონაწილეობისთვის მექანიზმებს შეიმუშავებდა;
⏳ საზოგადოებრივი ორგანიზაციები საპარლამენტო სამუშაო ჯგუფებში მიწვეულნი იყვნენ, თუმცა შეზღუდული წარმომადგენლობით;
❌ „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო საკითხებზე არსებულ სამუშაო ჯგუფში ISFED-ის მონაწილეობა დაბლოკა.
⏳ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კოორდინაციით, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან სპორადული შეხვედრები ტარდებოდა, თუმცა საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეალური ჩართულობა არ იყო უზრუნველყოფილი;
✅ ”უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონის ინიციირებამდე, 2023 თებერვალში, სამუშაო ჯგუფების ფარგლებში გარკვეულწილად სასარგებლო სამუშაო წარიმართა. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებების ნაწილი, მათ შორის, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების, კრიმინალთან ბრძოლის, ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის, გენდერული თანასწორობისა და მოწყვლადი ჯგუფების დაცვის შესახებ იქნა გათვალისწინებული;
❌ ”უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონპროექტის ინიციირების შემდეგ სამოქალაქო საზოგადოებამ პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა მისი ანტი-ევროპული და ანტი-დემოკრატიული ხასიათის გამო, რაც სრულიად იგნორირებული

იქნა მმართველი პარტიის მიერ. სამოქალაქო საზოგადოებამ ასევე სცადა კანონპროექტის უარყოფითი მხარეები აეხსნა საკომიტეტო მოსმენებზე;

❌ საპარლამენტო უმრავლესობამ, მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და საერთაშორისო საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი პოზიციისა, პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ კანონს, რომელიც ევროკავშირის წარმომადგენლების თანახმად, ევროპულ ღირებულებებსა და პრინციპებს და 12 პრიორიტეტიდან მინიმუმ ორს ეწინააღმდეგებოდა;

❌ კანონპროექტის აღსრულება საბოლოოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტას გამოიწვევდა;

⏳ საპარლამენტო უმრავლესობამ საზოგადოების მასობრივი პროტესტისა და საერთაშორისო კრიტიკის შემდეგ მეორე მოსმენაზე კანონპროექტი ჩააგდო, რაც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დადებითად შეფასდა. "ქართულმა ოცნებამ" პირობა დადო, რომ ისინი კანონპროექტს აღარ დაუბრუნდებიან;

❌ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისთვის ხელისშემშლელი კანონის ინიციირებისა და პირველი მოსმენით მიღების შედეგად, ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის უნდობლობა გაიზარდა;

❌ მმართველი პარტიის მიერ ე.წ. "აგენტების" კანონის მხარდაჭერის გამო, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრობა შეაჩერეს; თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა, თავად პარლამენტის ადმინისტრაციამ ამ ჯგუფს ჩამოართვა პარლამენტში მათ განკარგულებაში არსებული სამუშაო ფართით სარგებლობის უფლება, რითაც მათი იქ საქმიანობისთვის პირობები გააუარესა;

❌ კანონპროექტის ჩაგდების მიუხედავად, "ქართულმა ოცნებამ" სამოქალაქო სექტორზე თავდასხმები გააგრძელა და მათ წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანია გაამძაფრა. მათ შორის, ე.წ "აგენტების" კანონის მიღებაზე უარის თქმის მიუხედავად, "ქართული ოცნების" ლიდერები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უცხოური გავლენის აგენტებს უწოდებენ. სამოქალაქო სექტორს ევროინტეგრაციის პროცესის ხელის შეშლაში, პროვოკაციების მოწყობაში, დესტრუქციულ საქმიანობასა და საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვის სურვილშიც ადანაშაულებენ. ასევე, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ქვეყნის მიმართ მათ ერთგულებას;

❌ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ კანონპროექტის მიღების მცდელობამ პრაქტიკულად შეაჩერა ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არსებული თანამშრომლობის ფორმატები. მიუხედავად ამისა, რიგმა ორგანიზაციებმა გააგრძელეს მცდელობა, რომ აღედგინათ ხელისუფლებასთან კონსულტაციების პრაქტიკა 12 პრიორიტეტის შესრულების საკითხზე;

❌ ივნისის დასაწყისში საპარლამენტო ფორმატში 12 პრიორიტეტის განხორციელებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის ქვეჯგუფების მუშაობა ნაწილობრივ აღდგა. კერძოდ, შედგა სასამართლო რეფორმის ქვეჯგუფის ორი შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონპროექტში ვენეციის კომისიის რეკომენდაციების ასახვას. ქვეჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის წევრი რამდენიმე ორგანიზაცია - ლიბერალური აკადემია, დემოკრატიის ინდექსი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტი. სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა წარადგინეს წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, თუმცა კანონპროექტში "საერთო სასამართლოების შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 13 ივნისს, ეს წინადადებები არ იქნა გათვალისწინებული.

✅ წარმატებულად განხორციელდა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების თანამშრომლობა სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან, ასევე გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტთან, რომლის შედეგადაც 30 ივნისს მესამე მოსმენით იქნა მიღებული წყლის შესახებ საქართველოს კანონი. კანონი მიღებულ იქნა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე საკანონმდებლო დაახლოების კონტექსტში. მმართველმა ძალამ გაითვალისწინა არასამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებული წინადადებების სამი მეოთხედი (28 წინადადება 36 შეთავაზებულიდან) და კანონი პრაქტიკულად ჰარმონიზებულია ევროკავშირის შესაბამის დირექტივასთან.

✅ მაუწყებლობის შესახებ ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური დირექტივის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების წარმომდგენლებმა მიიღეს მონაწილეობა საკომიტეტო მოსმენებში, კერძოდ, მოსმენებში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და მედია ადვოკატირების კოალიციის წარმომადგენლები. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოითხოვდნენ შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას მაუწყებლობის შესახებ კანონში, ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ შემუშავებული 2023 წლის 21 თებერვლის დასკვნის შესაბამისად (ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა საქართველოს კანონზე მაუწყებლობის შესახებ). პარლამენტის სახელისუფლებო გუნდი დაეთანხმა წინადადებებს. კანონპროექტი პარლამენტმა სამი მოსმენით 30 ივნისს მიიღო;

⏳ სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ასევე მიმართეს საპარლამენტო უმრავლესობას (კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარეს) წინადადებით, პოლიტიკოსებისთვის მედიაში წინასაარჩევნო დებატებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რაც საზოგადოებაში პოლარიზაციის შემცირებას შეუწყობს ხელს;

✅ 2023 წლის ივნისისა და ივლისის პირველი ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები პარლამენტის თავმჯდომარის აპარატსა და აღ-

მოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის საკოორ-დინაციო საბჭოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის შესაძლო გაფორ-მებასთან დაკავშირებით. მემორანდუმი ითვალისწინებს პარლამენტის წარმო-მადგენლებთან არასამთავრობოთა კოალიციის რეგულარული შეხვედრების მექანიზმის დაარსებას, ერთობლივი კონფერენციის გამართვას ევროინტეგ-რაციისთვის აუცილებელი რეფორმების მიმდინარეობის შეფასებისა და პრობ-ლემების საჯაროდ განხილვის მიზნით. მემორანდუმის ტექსტზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს კონსულტაციები, თუმცა, ერთობლივი კონფერენცია გაიმართა 2023 წლის 25 ივლისს.

⏳ კონფერენციაზე მოხდა ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესასრულებლად გაწეული რეფორმების მიმდინარეობის გარშემო აზრთა ურთიერთგაცვლა, რაც უდავოდ პოზიტიურად უნდა შეფასდეს. მიუხედავად იმისა, რომ თავად ასეთი დიალოგი ზოგადად სასარგებლოა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდისთვის, რიგ საკითხებზე, მათ შორის სწორედ სამაქალაქო საზოგადო-ების როლის თაობაზე ხელისუფლების მიერ გამოთქმული შეხედულებები წინააღმდეგობაში მოდის მეათე პრიორიტეტის მიზნებთან. კვლავ გაგრძელდა “მდიდარი არასამთავრობოების” დადანაშაულება “აგენტების” შესახებ კანონის შესახებ მოქალაქეების თითქოსდა დეზინფორმირებაში და პირადი გამორჩენის მიზნით საზოადეობაში დაძაბულობის პროვოცირებაში.

❌ 2023 წლის 2 ივნისს საქართველოს პარლამენტის წინ გამართულ მშვიდობიან აქციაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აქტივისტები და უფლებადამცველები ცარიელი ფურცლებისა და პლაკატების გამო დააკავეს. მიუხედავად იმისა, რომ შსს-მ, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ადმი-ნისტრაციული დაკავების ვადის გახანგრძლივების მიზანშეწონილობა ვერ დაასაბუთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები დროებითი მოთავსების იზოლატორში მაქსიმალური, 48 საათის განმავლობაში იყვნენ მოთავსებულები. მათ საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

გამოწვევები:

! სამოქალაქო საზოგადოების აზრით, სასამართლოს რეფორმის, ანტიკორუფ-ციული ზომების, დემოკრატიული ზედამხედველობის და მოწყვლადი ჯგუფ-ების შესახებ მათი რეკომენდაციების უმეტესობა არ იქნა გათვალისწინებული;

! „ქართული ოცნება“ სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ დისკრედი-ტაციის კამპანიას აგრძელებს, კერძოდ თავდასხმით პასუხობს არასამთავრობო სექტორიდან ნებისმიერი სამართლიანი კრიტიკული შეფასებების ფაქტებს;

! მმართველი ძალის მიერ მნიშვნელოვანი კანონპროექტების ინიციირება უმეტესწილად ჯერ კიდევ ხდება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გა-რეშე;

! ე.წ. აგენტების კანონის მიღების მცდელობის გამო დახურული სამუშაო თანამ-შრომლობის ფორმატების გახსნა მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა.

პრიორიტეტი N11: ECHR-ის გადაწყვეტილებების პროაქტიული გათვალისწინება



ევროკავშირი მოითხოვს:

“მიღებული იქნას კანონი, რომლის თანახმადაც ქართული სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენებს თავიანთ გადაწყვეტილებებში.”

მოლოდინები:

» პარლამენტმა მიიღოს კანონი, რომლის თანახმადაც ქართული სასამართლოები ვალდებულნი იქნებიან, პროაქტიულად გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენები თავიანთ გადაწყვეტილებებში;
» მიღებული კანონმდებლობის დანერგვის ეფექტური მექანიზმების შექმნა.

სად ვართ ახლა:

✔ პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების დანერგვას ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში და გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხის გაზრდას;
✔ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შეიქმნა ანალიტიკური სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქცია მოსამართლეებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზია;
✔ კანონმდებლობის მომზადებისას სამუშაო ჯგუფში ჩართულნი იყვნენ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
✔ ცვლილებები მიღებული იქნა ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერით.

გამოწვევები:

! პოტენციური სირთულეები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენების ეროვნულ სასამართლოების პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით.

პრიორიტეტი N12: დამოუკიდებელი სახალხო დამცველი

მეტწილად შესრულდა

ევროკავშირი მოითხოვს:

“ უზრუნველყოფილი იქნას, რომ სახალხო დამცველის ნომინირების პროცესში უპირატესობა მიენიჭება დამოუკიდებელ პირს და რომ პროცესი წარიმართება გამჭვირვალედ; დაცული უნდა იყოს აპარატის ეფექტიანი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.”

მოლოდინები:

» პარლამენტმა მრავალპარტიული კონსენსუსით და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით აირჩიოს ახალი სახალხო დამცველი;
» სახალხო დამცველის შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა;
» ახალი სახალხო დამცველის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

სად ვართ ახლა:

✗ „ქართულმა ოცნებამ“ საშემოდგომო სესიაზე სახალხო დამცველის კანდიდატების შესაფასებლად 9 წევრისგან შემდგარი დამოუკიდებელი შეფასების ჯგუფი შექმნა;
კომისიამ უმაღლესი შეფასებები დაუწერა სამოქალაქო სექტორის მიერ წარდგენილ სამ დამოუკიდებელ კანდიდატს (გიორგი ბურჯანაძე, ანა აბაშიძე და ნაზი ჯანეზაშვილი), რომლებსაც ასევე ჰქონდათ ოპოზიციური პარტიების საჯარო მხარდაჭერა. გაიმართა ყველა კანდიდატის საჯარო მოსმენაც;
„ქართულმა ოცნებამ” სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარდგენილი კანდიდატების წინააღმდეგ კამპანია აწარმოა. მიუხედავად გამჭვირვალე პროცესისა, “ქართულმა ოცნებამ” მხარი არც ერთ კანდიდატს არ დაუჭირა და პროცესი მთლიანად ჩავარდა.
✓ საგაზაფხულო სესიაზე, “ქართულმა ოცნებამ” მხარი დაუჭირა ოპოზიციური პარტიის “მოქალაქეები” ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ლევან იოსელიანის კანდიდატურას. ლევან იოსელიანის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმაც;
✗ საგაზაფხულო სესიაზე სახალხო დამცველის კანდიდატის შერჩევის პროცესი სამოქალაქო სექტორის ჩართულობის გარეშე წარიმართა და გაუმჭვირვალე იყო;
✗ პარლამენტმა სახალხო დამცველად მოქმედი პოლიტიკოსი აირჩია.
✗ სახალხო დამცველის 8 ივლისის განცხადება "თბილისი პრაიდის" ღონისძიების დარბევასთან დაკავშირებით იყო სუსტი: კერძოდ, განცხადება არ მოიხსენიებდა ლგბტქ+ თემს და სიტყვა "პრაიდს", ასევე, არ გაკეთებულა აქცენტი ძალადობრივი ჯგუფების დანაშაულებრივ ქმედებებზე და პოლიციის უმოქმედობაზე. ლგბტქ+ თემის შეკრების და გამოხატვის უფლება ერთ-ერთი უმწვავესი საკითხია საქართველოში და მოლოდინი არსებობს, რომ ომბუდსმენი, მისი წინამორბედების მსგავსად, უფრო მკაფიო და არსობრივ განცხადებებს გააკეთებს.
✓ სახალხო დამცველის აპარატის შემადგენლობა თითქმის უცვლელად შენარჩუნებულია და აგრძელებს ეფექტიან მუშაობას.

გამოწვევები:

! სახალხო დამცველის მიერ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის ჩვენება და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;